# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

შაბათი, 1 მარტი, 2014 წელი.

№43 (7424)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge | ვებ გვერდი: www.open.ge | ფასი 50 თეთრი.



## გაზეთში ნებისმიერი განცხადების გამოქვეყნება თუ გინდათ, ჩვენთან მობრძანდით!

გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ შეუზღუდავად და ყოველდღიურად აქვეყნებს ნებისმიერი ხასიათის სარეკლამო განცხადებებს (ტენდერები, აუქციონები, კრებები, ყიდვა-გაყიდვა და სხვ.), რომელთა პუბლიკაციის ექსკლუზიური უფლება წინა ხელისუფლების უკანონო გადაწყვეტილებით აქამდე მინიჭებული ჰქონდა მხოლოდ გაზეთ „24 საათს“, რომელსაც აღნიშნული პრივილეგია ჩამოერთვა.

ჩვენი მისამართია: თბილისი, გ. ახვლედიანის ქ. №19; ელფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge.

ტელეფონები: 299 62 77; 5 99 79 76 79.


## აშშ რუსეთს აფრთხილებს, საქართველოს კი დასავლეთისკენ უბიძგებს

4

## 31 წლის პრემიერი მხოლოდ ევროპისკენ იყურება

3




## უგუნურად გადადგმული ნაბიჯების მძიმე შედეგები

6



## რა აბრკოლებს სამუშაო ადგილების შექმნას?

6

**ნეტარ არიან მორწმუნენი!..**

### ვიქტორ იანუკოვიჩი: ვაპირებ უკრაინის მომავლისთვის ბრძოლის გაგრძელებას

— ვაპირებ უკრაინის მომავლისთვის ბრძოლის გაგრძელებას მათ წინააღმდეგ, ვინც შიშითა და ტერორით ცდილობს მის დამორჩილებას. გადავწყვიტე ეს საჯაროდ მეთქვა. მე არავის დავუმხივარ, იძულებული ვიყავი უკრაინა დამეტოვებინა ჩემი ახლობლებისა და ჩემი სიცოცხლის მუქარის გამო. როგორც იცით, უკრაინაში ძალაუფლება ნაციონალისტებმა და პროფაშისტურმა ძალებმა იგდეს ხელთ, რომლებიც უკრაინის მცხოვრებთა აბსოლუტურ უმცირესობას წარმოადგენენ, — განაცხადა ვიქტორ იანუკოვიჩმა როსტოვში გამართულ პრესკონფერენციაზე.



ამასთან, ექსპრეზიდენტმა აღნიშნა, რომ შეიარაღებულმა ადამიანებმა უნდა დატოვონ ქუჩები და უკრაინელი ხალხის ნორმალური ცხოვრება უნდა იყოს უზრუნველყოფილი როგორც კიევში, ისე უკრაინის სხვა რეგიონში.

— გათვალისწინებული უნდა იყოს უკრაინის ყველა რეგიონის ინტერესები. რთული იქნება ამ უმძიმესი კრიზისიდან გამოსვლა, რომელშიც ქვეყანა აღმოჩნდა. ყველა ის მსხვერპლი, რომელიც მივიღეთ, დასავლეთის უპასუხისმგებლო პოლიტიკის შედეგია, რომელიც ხელს უწყობდა მაიდანს, — აღნიშნა ვიქტორ იანუკოვიჩმა.

## რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

# მარგველაშვილთან შეხვედრაზე გარეგინ მეორემ ბიძინა ივანიშვილის მიმართ მადლიერება გამოხატა



**სომხეთის რესპუბლიკაში ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში, საქართველოს პრეზიდენტი უმაღლეს პატრიარქს, ყოველთა სომეხთა კათალიკოსს გარეგინ მეორეს შეხვდა.** საუბრის მთავარი თემა ქართულ-სომხური მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მქონე რელიგიურ-კულტურული ურთიერთობა იყო. გიორგი მარგველაშვილთან საუბრისას, სომხეთის პატრიარქმა, აგრეთვე, მადლიერება გამოხატა ბიძინა ივანიშვილის მიმართ, რომელმაც სომხური ეკლესიის კუთვნილი კულტურული ძეგლების რესტავრაცია დააფინანსა და ამისათვის თანხა საკუთარი „ქართუ" ფონდიდან გამოყო. გიორგი მარგველაშვილს სომხეთის პატრიარქმა საჩუქრად ღვთისმშობლის ხატი გადასცა, ხოლო, თავის მხრივ, საქართველოს პრეზიდენტმა კათალიკოსს გარეგინ მეორეს ხარების სურათი უსახსოვრა.

შეხვედრა ეჩმიაძინის ტაძარში გაიმართა, სადაც ქვეყნის პირველი პირი ქართული დელეგაციის წევრებთან ერთად იმყოფებოდა. შეხვედრის შემდეგ, გიორგი მარგველაშვილმა საკათედრო ტაძრის საგანძური, ქრისტიანულ სიწმინდეთა მუზეუმი დაათვალიერა, რომელშიც დაცულია როგორც ბიბლიური რელიკვიები, ისე წმინდანთა ნაწილები.

ეჩმიაძინში გამგზავრებამდე, სომხეთის პრეზიდენტის სასახლეში საქართველოს პირველი პირის გაცილების ცერემონია გაიმართა, რომლის დასრულებისთანავე ორი ქვეყნის ლიდერები კიდევ ერთხელ პირისპირ შეხვდნენ ერთმანეთს.

# თუ ახალი ხელისუფლება აღმოაჩენს, რომ დანაშაული მაქვს ჩადენილი, რასაკვირველია, უნდა გამასამართლონ

**არ მინდა წარსულზე საუბარი, რადგან მიმაჩნია, რომ ეს ჩვენი წარსული ისტორიაა, ჩვენ მომავალზე ორიენტირებული ხელისუფლება ვართ და არ მინდა დროის ხარჯვა წინა მთავრობაზე ფიქრში. განაცხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა აშშ-ში, კოლუმბიის უნივერსიტეტში გამოსვლისას.**

— ჩვენ ხალხმა აგვირჩია, მათ აირჩიეს „ქართული ოცნება", რადგან მიაჩნდათ, რომ ეს ერთადერთი გზა იყო ქვეყანაში დემოკრატიის გადასარჩენად. ხაზს ვუსვამ — დემოკრატიის გადასარჩენად, რადგან ის, რაც მანამდე იყო, არ იყო დემოკრატია, განსაკუთრებით — წინა წლებში — თუ თქვენ გადახედავთ, რა ხდებოდა ჩვენს ქვეყანაში 2011, 2010, 2009, 2008 და 2007 წლებში, როგორ სასტიკად არბევდნენ მშვიდობიან დემონსტრანტებს. უნდა გითხრათ, რომ ხუთი ადამიანი დაიღუპა თბილისში, 2011 წლის 26 მაისს, როდესაც სასტიკად გაუსწორდნენ მშვიდობიან დემონსტრანტებს. 100-ზე მეტი მომიტინგე კი დააპატიმრეს და აწამებდნენ, მაგრამ არ მინდა, ამაზე



კიდევ ერთხელ საუბარი, — აღნიშნა ირაკლი ღარიბაშვილმა.

ამასთან, როგორც საქართველოს პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, წინა ხელისუფლების რამდენიმე მაღალჩინოსანი გასამართლდა, თუმცა პროცესის გამჭვირვალობა, სამართლიანობა და კანონის უზენაესობა გარანტირებულია, ხოლო ვის დააპატიმრებენ და ვის არა, ეს დამოუკიდებელი სასამართლოს გადასაწყვეტია.

— თუ თქვენ დამისახელებთ ერთ საქმეს მაინც, სადაც ეს სამი ელემენტი არ არის გარანტირებული, მაშინ ბოდიშს მოგიხდით. მაგრამ გარანტიას გაძლევთ, რომ ყველა ეს საქმე ზედმიწევნით გამჭვირვალეა, — აღნიშნა ირაკლი ღარიბაშვილმა.

ამასთან, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ისაუბრა მაღალჩინოსნების ხელშეუხებლობისა და დაუსჯელობის თაობაზე.

—რამდენჯერმე მითქვამს და კიდევ გავიმეორებ, დღეს მე ვარ საქართველოს პრემიერი, მაგრამ 5-10 წლის შემდეგ, როდესაც თანამდებობას დავტოვებ და ახალი ხელისუფლება აღმოაჩენს, რომ დანაშაული მაქვს ჩადენილი, რა თქმა უნდა, მათ უნდა გამასამართლონ. რატომ? — იმიტომ, რომ მე არ ვარ პრივილეგირებული. მე ამირჩიეს, რათა ჩემს ქვეყანას, ჩემს ხალხს ვემსახურო და არა - ჩემს პირად საჭიროებებს, ჩემს ოჯახს, — აღნიშნა ირაკლი ღარიბაშვილმა.

◎ განცხადება

# შსს-მ სამების ტაძართან წესრიგის დაცვის მიზნით ზომები მიიღო

**როგორც შსს-ს განცხადებაშია აღნიშნული, იმისთვის, რომ არ მოხდეს გაუთვალისწინებელი შემთხვევები და პოლიციამ შეძლოს ხალხის ნაკადის მოწესრიგება, შინაგან საქმეთა სამინისტრო ტაძარში შესვლის მსურველებს მოუწოდებს, დაემორჩილონ სამართალდამცველების კანონიერ მოთხოვნას, ხელი შეუწყონ მათ წესრიგის დაცვაში და პოლიციასთან ერთად კოორდინირებულად იმოქმედონ.**

— ქვეითად მოსიარულე მოქალაქეებმა ტაძრის დასავლეთ კარიბჭემდე მისასვლელად სამრეკ-



ლოს ქუჩით უნდა ისარგებლონ, საიდანაც სამების ცენტრალური შესასვლელიდან რკინის ჯებირებით მოწყობილი უსაფრთხოების დერეფნის გავლით შეძლებენ ტაძართან მისვლას.

ტაძრიდან გამოსვლისას, მოქალაქეებმა სამხრეთის კარიბჭის მიმართულებით უნდა იმოძრაონ და სამების ეზო ერისთავის ქუჩის მხრიდან დატოვონ.

ტაძრისკენ მიმავალ ყველა ქუჩაზე ავტომანქანით მოძრაობა იზღუდება, ხოლო ხალხის ნაკადის მატებისას, შესაძლებელია, საპატრულო პოლიციის ეკიპაჟებმა ქუჩები პერიოდულად გადაკეტონ.

იმისთვის, რომ არ მოხდეს გაუთვალისწინებელი შემთხვევები და პოლიციამ შეძლოს ხალხის ნაკადის მოწესრიგება, შინაგან საქმეთა სამინისტრო ტაძარში შესვლის მსურველებს მოუწოდებს, დაემორჩილონ სამართალდამცველების კანონიერ მოთხოვნას, ხელი შეუწყონ მათ წესრიგის დაცვაში და პოლიციასთან ერთად კოორდინირებულად იმოქმედონ, — აღნიშნულია შსს-ს განცხადებაში.

**ინტერპრესი**

◎ ჯანდაცვა

# სერგეენკომ წლიური ანგარიში წარადგინა

**საქართველოს ჯანდაცვის მინისტრმა დავით სერგეენკომ საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ერთი წლის ანგარიში წარადგინა. ამასთან დაკავშირებით დავით სერგეენკომ გუშინ პრესკონფერენცია გამართა.**

მისი თქმით, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა 2013 წლის 28 თებერვლიდან ამოქმედდა. 2013 წლის 1 ივლისამდე ფინანსდებოდა სამედიცინო მომსახურების 3 ბლოკი, ხოლო მეორე ეტაპიდან პროგრამამ სამედიცინო სერვისების 6 ბლოკი მოიცვა. მათ შორის პირველადი ჯანდაცვის გაფართოებული მომსახურება, გადაუდებელი ამბულატორიული დახმარება, გაფართოებული გადაუდებელი სტაციონარული მომსახურება, გეგმურ-ქირურგიული ოპერაციები, ონკოლოგიური დაავადებების მკურნალობა და მშობიარობა.

მინისტრის ინფორმაციით, 2013



წლის 28 თებერვლიდან 2014 წლის 31 იანვრის ჩათვლით, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში დაფიქსირდა 196 859 ურგენტული შემთხვევა, მათ შორის სტაციონარული 47 434.

ამავე პერიოდში ჩატარდა 13 549 გეგმური ქირურგიული ოპერაცია.

ჯანდაცვის მინისტრი დავით სერგეენკო მედიკამენტების მასიურად გაძვირების ფაქტს ადასტურებს.

— მედიკამენტებზე ფასების მონიტორინგს აქვს თავისი წესები. შეიძლება ერთი ჯგუფის მედიკამენტი ძვირდება, მაგრამ სამაგიეროდ იაფდება სხვა. ჩვენ გარკვეულ მონიტორინგს, ამ მხრივ, ვაწარმოებთ და ვერ დავადასტურებ, რომ მოხდა მედიკამენტების მასიური, 5-10%-ით გაძვირება ბოლო რამდენიმე კვირაში, — განაცხადა დავით სერგეენკომ.

მისივე ინფორმაციით, იგეგმება რამდენიმე ფარმაცევტული კომპანიის შემოსვლა.

— ბევრ კომპანიას უნდა შემოსვლა, ამას აბრკოლებს ის, რომ მაქსიმალურად სწრაფად უნდა დავასრულოთ წამლის ხარისხის კონტროლის სისტემის დანერგვაზე მუშაობა, სხვა მხრივ გვექნება დიდი რისკები უხარისხო მედიკამენტების შემოსვლის, ანუ გაიაფდეს მედიკამენტები, მაგრამ ჯანმრთელობას შეექმნას საფრთხე, — განაცხადა სერგეენკომ.

◎ გენმოდიფიცირებული პროდუქტები

# ფედერაცია შეისწავლის, სამინისტრო კი გააკონტროლებს

**გენმოდიფიცირებული პროდუქციის მარკირებას გარემოს დაცვის სამინისტრო გააკონტროლებს, ოღონდ ეს მას შემდეგ მოხდება, რაც კანონპროექტს პარლამენტი განიხილავს, დაამტკიცებს და საბოლოოდ ძალაშიც შევა. შესაძლოა, ეს პროცესი მალე ვერც დასრულდეს, ამასობაში კი ბაზარზე გმო პროდუქტების წილი თვალდათვალ იმატებს.**

ბაზარზე არსებულ სიტუაციას კი მომხმარებელთა ფედერაცია შეისწავლის და დააკვირდება. ორგანიზაცია 2014 წლის მარტიდან გენმოდიფიცირებული პროდუქტების შემოწმებას იწყებს და საამისოდ სპეციალურ კვლევასაც ჩაატარებს.

მომხმარებელთა ფედერაციის დირექტორის მადონა კოიძის ინფორმაციით, შემოწმდება პროდუქტის ეტიკეტის შესაბამისობა, რაც პროდუქტში ენერგეტიკული ღირებულებების და გენმოდიფიცირებული ორგანიზმების შემადგენლობის გამოკვლევას გულისხმობს.




კოიძის თქმით, პროდუქტი, რომელიც გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმების 0,9%-ზე მეტ რაოდენობას შეიცავს, მარკირებული უნდა იყოს, შესაბამისად, მოსახლეობას ინფორმირებულობა აუცილებელია, რათა მომხმარებელმა თავად გააკეთოს არჩევანი.

**„თავად მოსახლეობამ უნდა გადაწყვიტოს, უნდა მას გენმოდიფიცირებული პროდუქტის შეძენა, თუ ამგვარ პროდუქტს სიცოცხლისთვის საშიშად მიიჩნევს",** — აღნიშნა მადონა კოიძემ „ჯი-ეიჩ-ენ"-თან საუბრისას.

გენმოდფიცირებული პროდუქციის მიმართ საზოგადოების ინტერესი ძალიან მაღალია, ამიტომაც სპეციალური კვლევა, სურსათის ეროვნულ სააგენტოსთან ერთად, 2014 წლის 15 მარტიდან დაიწყება.

გარემოს დაცვის საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის გია გაჩეჩილაძის განცხადებით, გენმოდიფიცირებული პროდუქციის სავალდებულო მარკირებისა და სათესლე მასალის გამოყენების აკრძალვის შესახებ კანონპროექტის განხილვა უახლოეს დღეებში კომიტეტებში დაიწყება. მისი სესიაზე წარდგენა კი საკომიტეტო განხილვების დროულად დასრულებაზე იქნება დამოკიდებული. გენმოდიფიცირებული პროდუქციის მარკირებას კი გარემოს დაცვის სამინისტრო გააკონტროლებს.

კანონის ამოქმედების შემდეგ გმო ორგანიზმებით შექმნილი თესლი საქართველოში თავისუფლად აღარ შემოვა, ხოლო შემოსვლის შემთხვევაში, მას ნიადაგ-



ში დახურულ სივრცეში შეიტანენ. ამასთან, ცოცხალ გენმოდიფიცირებულ ორგანიზმებთან დაკავშირებული საქმიანობა წესის დარღვევის შემთხვევაში, ადმინისტრაციული და სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საგანიც იქნება.

ინფორმაციისათვის, გენეტიკურად მოდიფიცირებული, ანუ ტრანსგენური პროდუქტები არის ისეთი პროდუქტები, რომელთა გენეტიკურ „ნაკრებში" შეჰყავთ ისეთი უცხო გენი, რაც მას იქამდე არ ჰქონდა. ამის შედეგად ბოსტნეული ან ხილი მისთვის უჩვეულო ახალ თვისებას იძენს, თანაც ამ თვისების წინასწარ დაპროგრამებაც შეიძლება. თანამედროვე ბიოტექნოლოგიის საშუალებით ხდება ორგანიზმის გენეტიკური მასალის იმგვარი შეცვლა, რაც არასოდეს მოხდებოდა ბუნებრივი ევოლუციის პროცესში.

**ბექა დანელია**

მზერა დასავლეთით

# 31 წლის პრემიერი მხოლოდ ევროპისკენ იყურება

**ირაკლი ღარიბაშვილი ბავშვი იყო, როდესაც მისი სამშობლო, საქართველო, გაღატაკებული საბჭოთა სატელიტი ქვეყანა, ის-ის იყო გონზე მოსვლას იწყებდა. ღარიბაშვილის სახლში არ იყო ელექტროენერგია და გაზი, მას სანთლის შუქზე უწევდა მეცადინეობა. ახლადგათავისუფლებული, დამოუკიდებელი ქვეყანა ქრონიკულმა კორუფციამ და სამოქალაქო არეულობებმა მოიცვა, ეკონომიკა შეუქცევად ვარდნას განიცდიდა. ახალი საქართველო ძველს არ სჯობდა.**

31 წლის ღარიბაშვილი დღეს საქართველოს პრემიერ-მინისტრი და არჩეული მთავრობის ყველაზე ახალგაზრდა ხელმძღვანელია მსოფლიოში. როგორც ღარიბაშვილმა Foreign Policy-ს ინტერვიუში უთხრა, მისი მთავრობის მთავარი ყურადღება მიმართულია ევროკავშირთან უფრო ახლო ეკონომიკური და პოლიტიკური კავშირების განვითარებაზე და, იმავდროულად, მტკიცე ფუნდამენტის მომზადებაზე ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში გაწევრიანებისათვის. მისი ქვეყანა ერთ დროს მტკიცედ იყო ორიენტირებული აღმოსავლეთზე, მოსკოველი მმართველებისკენ. ღარიბაშვილი იმედოვნებს, რომ მალე ქვეყანა მტკიცედ ორიენტირებული იქნება დასავლეთზე.

**„მე მართლაც მინდა ჩემი ქვეყნის გარდაქმნა რეალურ, თანამედროვე, დემოკრატიულ, ევროპულ სახელმწიფოდ“, უთხრა მან FP-ს, სიფრთხილით არჩევდა რა სიტყვებს... „ეს ჩემი ოცნებაა“.**

ოცნების განხორციელება კი მოითხოვს უკიდურესად ფრთხილ მოქმედებას თბილისის ურთიერთობებში რუსეთთან. იმ ფონზე, როდესაც პროდასავლელი ლიდერები მეზობელ უკრაინაში იბრძვიან იმისთვის, რომ როგორმე თავი დააღწიონ რუსეთის მარწუხებს, საქართველოს წარმატება და ბრძოლები ერთგვარი გზამკვლევი და ჭკუისსასწავლებელი ისტორიაა კიევისათვის.

რევოლუციონერებს, რომლებმაც ახლახან გააძევეს ხელისუფლებიდან უკრაინის პრეზიდენტი ვიქტორ იანუკოვიჩი და დღეს კიევს აკონტროლებენ, როგორც ჩანს, მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი ახალი ლიდერების არჩევა, რომლებიც შეუქცევადად დააახლოებენ ქვეყანას როგორც ევროკავშირთან, ასევე შეერთებულ შტატებთან. ევროკავშირის მაღალჩინოსნები უკვე ეწვივნენ კიევს დიდი ფინანსური დახმარების პაკეტის პირობების განსახილველად. უკრაინის მთავრობაც აცხადებს, რომ მალე ის სესხის გამოყოფის თხოვნით შეერთებულ შტატებს მიმართავს.

ამ ნაბიჯებმა რუსეთი განარისხა და ღარიბაშვილმა კარგად იცის იმ რისკების შესახებ, რაც მოსკოვის ზედმეტად გაღიზიანებას შეიძლება მოჰყვეს. საქართველოს ბოლო პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, ხელისუფლებაში 2004 წელს მოვიდა ეგრეთ წოდებული ვარდების რევოლუციის შემდეგ, რომელმაც დაამხო საქართველოს მაშინდელი ლიდერი შევარდნაძე. ის მართავდა ქვეყანას დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, 1991 წლიდან. საბჭოთა კავშირის დანგრევიდან მალევე, სააკაშვილმა ევროკავშირთან და შეერთებულ შტატებთან ურთიერთობების გაუმჯობესება დაიწყო, რითაც რუსეთი განარისხა. 2008 წელს, საქართველოს არმიას და მისი სეპარატისტული რესპუბლიკის, სამხრეთ ოსეთის შეიარაღებულ ძალებს შორის ლოკალური შეტაკებების შემდეგ, რუსეთი ქვეყანაში შეიჭრა აჯანყებულების მხარდასაჭერად და რეგიონიდან ქართული არმია გააძევა. მოსკოვსა და თბილისს შორის დიპლომატიური ურთიერთობა შეწყდა და მას შემდეგ სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი დე ფაქტო რუსეთის კონტროლის ქვეშაა.



სააკაშვილმა თავისი ბოლო საპრეზიდენტო ვადა დასავლეთის დარწმუნებაში გაატარა და მათ დაკარგული პროვინციების დაბრუნებაში დახმარებას სთხოვდა. ღარიბაშვილს, რომელიც პრემიერ-მინისტრი შარშან ნოემბერში გახდა, ძალიან განსხვავებული სტრატეგია აქვს.

FP-სთან ინტერვიუში, ღარიბაშვილმა განაცხადა, რომ მას იმედი აქვს, რომ მისი ქვეყნის მზარდი ინტეგრაცია ევროპაში ნელ-ნელა დაარწმუნებს სამხრეთ ოსეთის და აფხაზეთის მცხოვრებლებს, რომ საქართველოსთან გაერთიანება მათ ინტერესებში იქნება.

აგვისტოში თბილისი ეგრეთ წოდებული ასოცირების შეთანხმების ხელმოწერას გეგმავს, რაც საქართველოს ბლოკის წევრობასთან დააახლოებს, და ღარიბაშვილი ვარაუდობს, რომ მომდევნო ხუთი წლის განმავლობაში საქართველოს მოქალაქეები შეძლებენ ევროკავშირის ქვეყნებში უვიზოდ მოგზაურობას, ევროპასთან ვაჭრობის გაღრმავება კი ხელს შეუწყობს ქვეყნის ეკონომიკის სწრაფ ზრდას. მას სჯერა, რომ გამოყოფილი რეგიონების მცხოვრებლებს მოუნდებათ ამ სიკეთეებით სარგებლობა.

**„ისინი დაინახავენ ცხოვრების სტანდარტებში სხვაობას“, თქვა ღარიბაშვილმა. „ისინი დაინახავენ, როგორ ცხოვრობენ აფხაზეთსა და ოსეთში, და როგორ ცხოვრობენ ქართველები დანარჩენ საქართველოში“.**

მთელი ეს სტრატეგია დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად ეფექტურად შეძლებს ღარიბაშვილი საკუთარი ხედვის რეალიზებას, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ საქართველო რეგიონული ბიზნესის და ეკონომიკის კვანძია. საქართველო საყოველთაოდ ცნობილია თავისი ღვინის ექსპორტით, მაგრამ, ღარიბაშვილის თქმით, მისი ქვეყანა ინვესტიციას აბანდებს მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემებში, რომელიც უზრუნველყოფს ჰიდროელექტროენერგიის მიწოდებას თურქეთში. პრემიერი, რომელიც ბიზნესმენივით ლაპარაკობს (ის ბიზნესმენი იყო, ვიდრე პოლიტიკოსი გახდებოდა), ასევე ტრაბახობს იმით, რომ მისი ქვეყანა ინვესტორს სთავაზობს პოლიტიკურ სტაბილურობას, იაფ მუშახელს და ბიზნესზე ორიენტირებულ რეგულაციებს. ინტერვიუში მან თქვა, რომ მისი პროგნოზით, 2014 წელს ქვეყნის ეკონომიკა მინიმუმ 5%-მდე გაიზრდება.

ღარიბაშვილს კარგად ესმის, რომ ახალი დაპირისპირება რუსეთთან მთელ ამ გეგმებს ჩაშლის, და ძალიან აქტიურად მუშაობას ამ ორ ქვეყანას შორის გაფუჭებული კავშირების გაუმჯობესებაზე. ამ მიზნით მან სპეციალური ელჩი დანიშნა რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინის მთავრობასთან ურთიერთობისა და მოსკოვთან ღია და პირდაპირი დიალოგისათვის.

რუსეთის რიტორიკა საქართველოს მიმართ მნიშვნელოვნად შერბილებულია წარსულთან შედარებით, მაგრამ ცხადია, რომ პუტინი არ არის მზად წარსული წყენების დავიწყებისათვის. ღარიბაშვილი ამბობს, რომ რუსეთის სამხედრო ძალებს 30 მილის სიგრძის მავთულხლართები გაჰყავთ სამხრეთ ოსეთის საზღვრის გასწვრივ. სამუშაოები დეკემბერში შეწყდა, სოჭის ოლიმპიადის დაწყებამდე რამდენიმე კვირით ადრე ოლიმპიადის ცერემონიის დასრულებისთანავე, სამუშაოები განახლდა. „სიგიჟეა, არა?“ იკითხა მან ინტერვიუს დროს.

ღარიბაშვილი პოსტსაბჭოთა ქვეყნის პირველი ლიდერია, რომელსაც საბჭოთა ოკუპაციის პირობებში არ უცხოვრია, მაგრამ ის არ იქნება უკანასკნელი. უკრაინის ზოგიერთი მომავალი ლიდერი შესაძლოა, იყოს მისი ასაკის და ანალოგიური გამოცდილებით. საქართველო ირანთან და ერაყთან უფრო ახლოსაა, ვიდრე პარიზთან ან ლონდონთან. მიუხედავად ამისა, თუკი ღარიბაშვილის ძალისხმევა წარმატებული იქნება, ქვეყანა ევროკავშირის ნაწილი გახდება. და ეს მიღწევა გვერდს არ აუვლის ახალგაზრდა ლიდერებს, რომლებიც ნელ-ნელა აღმოსავლეთ ბლოკის ქვეყნების ხელისუფლებებში მოდიან. „ჩვენ გვინდა ვიყოთ მაგალითი“, თქვა ღარიბაშვილმა ინტერვიუში, „ჩვენ გვინდა ვუჩვენოთ გზა სხვებს“.

**იოჩი დრიზენი,**
**„Foreign Policy“**

კაკალ გულში

## წერტილოვანი ფრაზები

**● საფრანგეთშიც დაწვეს პაკრიშკები თუ კეზერაშვილი ნაცმოძრაობის წევრობის პონტში გაუშვეს?**

**● რამე კანონი ხო არ შემოიღეს ჩუმად, კრიმინალების დაჭერის აკრძალვაზე?**

**● როგორც ვატყობ თემიდა გასულია მომსახურების ზონიდან თან კაი ხნით. ხოდა გამოვდივარ ინიციატივით, ყველამ ჩვენი წილი სამართლიანობა აღვადგინოთ. დავგეგმოთ სპეცოპერაცია სახელწოდებით „ხალხური“ და გავუსწორდეთ დამნაშავეებს, ზოგს პანჩურით, ზოგს ალიყურით, ზოგს თმის მოწიწკვნით, ზოგს თავპირის გაერთიანებით, ნუ რა ვიცი, ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის მიხედვით. ოღონდ დრო დავთქვათ რო ცალცალკე არ დავიტუქსოთ ევროპაამერიკისგან და ერთი გვარიანად აღშფოთდნენ და გაჩუმდნენ.**

**● რატომ არ ჩნდება კითხვები რატომ გაათავისუფლეს კეზერაშვილი? რატომ თქვა ევროპულმა სასამართლომ მის ექსტრადირებაზე უარი? რისი შედეგია ეს — დილეტანტიზმის თუ შეგნებული ქმედების? ამავე დროს საინტერესოა თუ რატომ შეეფარდა მერაბიშვილს 26 მაისის მკვლელობებზე მხოლოდ 4 წელი, ვფიქრობ ამ კითხვებზე ვინმემ ან ვიღაცებმა არა მარტო პასუხი უნდა გაგვცენ, არამედ პასუხი უნდა აგონ!**

**● გაგებით მოკიდების მაგივრად ხელკეტს რო მოვჰკიდოთ არა?**

**● ისე, ქალბატონო თეა, საფრანგეთის სასამართლომ რომ იჩივლოს თქვენი განცხადების საფუძველზე შეურაცხყოფისათვის? აბა ეხლა ფრანგი მოსამართლის, პროკურორის და საერთოდ სასამართლოს შეურაცხყოფაა არა ეს განცხადება? — „ძალიან ვწუხვარ, რომ ფრანგი მოსამართლე აღმოჩნდა ისეთი უთანასწორო პირობების წინაშე, როგორიც იყო, ერთი მხრივ, კეზერაშვილის ძვირადღირებული ადვოკატი და მეორე მხრივ, ფრანგი პროკურორი, რომელმაც, როგორც ჩანს, ძვირადღირებულ ადვოკატს ღირსეული და სათანადო კონკურენცია ვერ გაუწია“. ისე, რომ იცოდეთ, ქალბატონო თეა, პრეზიდენტმა ნიკოლა სარკოზიმ და მისმა ძლიან ძვირადღირებულმა ადვოკატებმა, პრეზიდენტმა ჟაკ შირაკმა და მისმა ძალზედ ძვირადღირებულმა ადვოკატებმა, პრემიერ მინისტრმა დომენიკ დვილპენმა და მისმა ძვირადღირებულმა ადვოკატებმა ვერ შესძლეს, გავლენა მოეხდინათ ფრანგულ სასამართლოზე და პროკურატურაზე და როგორ ფიქრობთ „ვინცხა დავით კეზერაშვილი“ და მისი ადვოკატები რა ფოკუსნიკები იყვნენ და რა თანხა აიღეს ასეთი, რომ ფრანგ მოსამართლეზე გავლენის მოხდენა შესძლეს?**

**● მიშა ყვარლის სახლს სიმბოლურ ერთ ლარად მომყიდის?**

**ამოკრიბა**
**გია გაბრიჭიძემ**

გვეხმაურებიან

# მცირე რეპლიკა საზოგადოებისათვის

**გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ 26 თებერვლის ნომერში გამოქვეყნდა ინტერვიუ ბიზნესმენ ავთანდილ საყვარელიძესთან, სათაურით „ეკონომიკურ-მორალური აჯაფსანდალი“.**

**ამ ინტერვიუსთან დაკავშირებით საზოგადოებას უნდა ვაცნობო, რომ ავთანდილ საყვარელიძის მიერ გამოთქმული თითოეული მოსაზრება არის მტკნარი სიცრუე და ცილისწამება, რომლის მიზანია, ჩრდილი მიაყენოს ვაგონშემკეთებელ კომპანიას და მის მენეჯმენტს. მის მიერ გაკეთებული ნებისმიერი განცხადება არის პროვოცირება ძალოვნების შეცდომაში შეყვანის მიზნით. პირადად მე თავს შევიკავებ მის მიერ ელექტროვაგონშემკეთებელ ქარხანაში ჩადენილ დანაშაულობებზე საუბრისგან, რადგან ყველა მათგანზე მიმდინარეობს გამოძიება და დარწმუნებული ვართ, უახლოეს მომავალში გამოვლინდება დამნაშავე და კანონის შესაბამისად დაისჯება.**

**თავად ავთანდილ საყვარელიძეს მინდა შევახსენო, რომ ტყუილი ბრალდება ისჯება კანონით და ცილისწამებისა და ჩემი ღირსების შელახვის განმეორების შემთხვევაში, მის წინააღმდეგ აღძრულ მრავალრიცხოვან საქმეებს შეემატება კიდევ ერთი საქმე - საქვეყნოდ ბოდიშის მოხდის და მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით.**

**გიორგი არეშიძე,**
**შპს „ვაგონშემკეთებელი კომპანიის“ გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი**

**P. S.**

**ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის მენეჯმენტმა მოგვაწოდა ავთანდილ საყვარელიძის ფირმის მიერ ქარხნიდან 28 მილიონი ლარის მითვისების შესახებ სასამართლო გადაწყვეტილება. თავად ფაქტი იმდენად შთამბეჭდავია, რომ გადავწყვიტეთ მისი გამოქვეყნება.**

**თბილისის საქალაქო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის შესაბამისი მუხლებით და გადაწყვიტა:**

1. მიღებულ იქნას დაუსწრებელი გადაწყვეტილება და სს ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის“ სარჩელი დაკმაყოფილდეს.

2. შპს „თ.ჯ. თრეიდი“-ს სს „ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის“ სასარგებლოდ დაეკისროს 28 000 000 (ოცდარვა მილიონი) ლარის გადახდა.

3. შპს „თ.ჯ. თრეიდი“-ს სს „ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის“ სასარგებლოდ დაეკისროს 5000 (ხუთიათასი) ლარის გადახდა სარჩელის აღძვრისას წინასწარ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის სანაცვლოდ.

4. დაუსწრებელი გადაწყვეტილების ასლი 5 დღის ვადაში გადაეგზავნოს მოპასუხეს, რომელსაც განემარტოს, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით შეუძლია შემოიტანოს საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის მე-12 კილომეტრი №6) გადაწყვეტილების ასლის ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ დაუსწრებელი გადაწყვეტილება აღარ გასაჩივრდება და შედის კანონიერ ძალაში (**მოსამართლე ლაშა ქოჩიაშვილი**).

ვიზიტის ექო




# აშშ რუსეთს აფრთხილებს, საქართველოს კი დასავლეთისკენ უბიძგებს

**შეერთებულმა შტატებმა გააფრთხილა რუსეთი უკრაინაში სამხედრო ინტერვენციის წინააღმდეგ და განაახლა მოთხოვნა, რომ მოსკოვმა გამოიყვანოს თავისი არმია კიდევ საქართველოს სადავო ანკლავებიდან. შეერთებულმა შტატებმა ასევე შეაგულიანა საქართველო, და მოუწოდა მას, განაგრძოს დაახლოება ევროპასა და ნატოსთან. მოწოდებები გაისმის რუსეთს და დასავლეთს შორის სულ უფრო მზარდი დაძაბულობის ფონზე, რაც უკრაინის ხელისუფლებიდან პრომოსკოვური პრეზიდენტის ვიქტორ იანუკოვიჩის გაძევებას მოჰყვა.**

თავის მკვეთრ კომენტარებში, რომელიც როგორც ჩანს კიდევ უფრო გაამძაფრებს რუსეთის ეჭვებს მის უშუალო სამეზობლოში დასავლეთის განზრახვებთან დაკავშირებით, სახელმწიფო მდივანმა ჯონ კერიმ განაცხადა, რომ რუსეთი „ძალიან ფრთხილად“ უნდა იყოს უკრაინასთან დაკავშირებულ ქმედებებში. ასევე მან განაცხადა შეერთებული შტატების მხრიდან დამატებითი (თუმცა არ დაუკონკრეტებია) დახმარების შესახებ, **„საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური ხედვის მხარდაჭერისათვის“.** მან დაგმო ის ფაქტი, რომ რუსეთს დღემდე ჰყავს განთავსებული თავისი სამხედროები საქართველოს რეგიონებში —აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში, რითაც არღვევს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმებას, რომელმაც დაასრულა რუსეთ-საქართველოს 2008 წლის კონფლიქტი.

ქერი, რომელიც ლაპარაკობდა აშშ-საქართველოს სტრატეგიული პარტნიორობის კომისიის სხდომაზე სახელმწიფო დეპარტამენტში, ამტკიცებდა, რომ შეერთებული შტატების პოლიტიკა უკრაინის, საქართველოს და სხვა, ერთ დროს საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების მიმართ, მიზნად არ ისახავს რუსეთის გავლენის შეზრუდვას მის სამეზობლოში. მისი თქმით, პირიქით, ამერიკის მხარდაჭერის მიზანი ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების მიმართ მათი დასავლეთთან ინტეგრაციის, დემოკრატიის განმტკიცებისა და ეკონომიკის გაძლიერების საქმეში წარმატების ხელშეწყობაა.

**„ეს არ არის ერთგვარი თამაში ნულოვანი საწყისით აღმოსავლეთს და დასავლეთს ან ჩვენ და რომელიმე სხვა მხარეს შორის“,** — თქვა ქერიმ. **„ჩვენ უბრალოდ გვინდა, რომ ხალხმა შეძლოს არჩევანის თავად გაკეთება და საკუთარი ეკონომიკური შესაძლებლობების მაქსიმიზაცია. ეს არ გულისხმობს იმას, რომ მას არ შეუძლია სხვებთან თანამშრომლობა“.**

მოგვიანებით, MSNBC-სთან ინტერვიუში, ქერიმ გაიმეორა ეს რეპლიკები, მაგრამ კიდევ უფრო დეტალურად ჩაუღრმავდა უკრაინაში შექმნილ სიტუაციას.

**„ვფიქრობ, რუსეთმა ძალიან ფრთხილად უნდა იმსჯელოს იმის შესახებ, თუ როგორ იმოქმედებს მომავალში“,** — თქვა ქერიმ. **„ჩვენ არ მივისწრაფვით კონფრონტაციისაკენ, მაგრამ მკაფიოდ ვაცხადებთ, რომ ყველა ქვეყანამ პატივი უნდა სცეს უკრაინის ტერიტორიულ მთლიანობას და სუვერენიტეტს. რუსეთი ამბობს, რომ ის ასეც მოიქცევა, და, ჩვენი აზრით, მნიშვნელოვანია, რომ რუსეთმა თავისი სიტყვა შეასრულოს“.**

**„ახლა ჩვენ არ გვჭირდება ძველი, ცივი ომის კონფრონტაცია“,** თქვა მან. **„ჩვენ ერთად უნდა ვიმუშაოთ, რაც არ არის თამაში ნულოვანი საწყისით, რათა უზრუნველვყოთ უკრაინელი მოსახლეობის უნარი, თავად აირჩიოს საკუთარი მომავალი“.**

ქერიმ ილაპარაკა იმის შესახებ, რომ რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა მასშტაბური სამხედრო წვრთნების ჩატარების ბრძანება გასცა რუსეთის სამხრეთში, მათ შორის უკრაინის საზღვრის გასწვრივ. რუსული საინფორმაციო სააგენტოები იუწყებოდნენ, რომ თავდაცვის სამინისტრო ნაბიჯებს გადადგამს უსაფრთხოების განმტკიცებისათვის რუსეთის ფედერაციის შავი ზღვის ფლოტის ობიექტებზე უკრაინის ყირიმის ნახევარკუნძულზე, სადაც შეტაკებები ხდება პრო- და ანტირუს დემონსტრანტებს შორის. პრორუსი დემონსტრანტები ავტონომიის გამოყოფაზე ლაპარაკობენ; რუსი პარლამენტარი კი აღვივებდა დაპირისპირებას თავისი დაპირებებით, რომ რუსეთი მათ დაიცავს.

ამ ნაბიჯებმა გაზარდა შიშები, რომ რუსეთმა შეიძლება სამხედრო ინტერვენციას მიმართოს უკრაინაში 2008 წლის ოპერაციის მსგავსად საქართველოში, რომელიც მაშინ დაგმეს შეერთებულმა შტატებმა და მისმა ევროპელმა მოკავშირეებმა.

ქერიმ, რომელიც საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს გვერდით ეჯდა, კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ შეერთებული შტატები **„კვლავაც მტკიცედ უჭერს მხარს საქართველოს სუვერენიტეტს და ტერიტორიულ მთლიანობას“.**

**„ჩვენ კვლავ ვაპროტესტებთ საქართველოს ტერიტორიის ოკუპაციას, მილიტარიზაციას და საზღვრიზაციას რუსეთის მხრიდან, და მოვუწოდებთ რუსეთს, შეასრულოს ვალდებულებები, რომელიც აღებული აქვს 2008 წლის ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებით, რომელიც გულისხმობს მისი ჯარის გაყვანას ამ რეგიონებიდან და ჰუმანიტარული დახმარების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას“,** — თქვა ქერიმ.

მან ხაზი გაუსვა იმას, რომ აშშ მხარს უჭერს საქართველოს გაწევრებას ნატოში (რასაც რუსეთი ეწინააღმდეგება) და უნდა, რომ ამ ქვეყანამ ხელი მოაწეროს ასოცირების შეთანხმებას ევროკავშირთან ამ წლის ბოლომდე. ანალოგიური შეთანხმება უკრაინას და ევროკავშირს შორის იყო ერთ-ერთი კატალიზატორი კიევში დაწყებული სისხლიანი არეულობებისა, რასაც გასულ კვირაში რუსეთის მხარდაჭერილი პრეზიდენტის ვიქტორ იანუკოვიჩის ხელისუფლებიდან გაძევება მოჰყვა.

ზოგიერთი რუსი ჩინოვნიკი დასავლეთს აბრალებს იმას, რომ სწორედ ის იდგა იანუკოვიჩის წინააღმდეგ მოწყობილი აჯანყების უკან. ამერიკელი და ევროპელი ჩინოვნიკები მსგავს ბრალდებებს კატეგორიულად უარყოფენ.

ქერიმ განაცხადა, რომ უკრაინელი ხალხი თავად აჯანყდა „კლეპტოკრატიის“ წინააღმდეგ და დასძინა, რომ მას აქვს ეჭვი, რომ ზოგიერთმა ელემენტმა რუსეთში ურჩია იანუკოვიჩს ოპონენტებთან მკაცრად გამკლავება.

**„ვფიქრობ, რომ გარკვეულ დონეზე რუსეთს არ აქვს შეხება იმასთან, რაც იქ, ადგილზე ხდება“, თქვა მან. „ჩემი აზრით, იანუკოვიჩი ზოგიერთმა ადამიანმა ერთგვარად წაახალისა, რათა ძალიან ხისტი პოზიციისთვის მიემართა“.**

**მეთიუ ლი,**
„Associated Press“

ალიან-ჩალიანი

## ავტოსატრანსპორტო საშუალებებთან დაკავშირებით ახალი ჯარიმები ამოქმედდება

**ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილებები 1 მარტიდან შევა. მას ასევე დაემატება 583 მუხლი, რომლის თანახმად, სატრანსპორტო საშუალების გარეცხვა ზღვაში, ტბაში, ანდა მის ნაპირთან, წყლიდან 10 მეტრზე უფრო ახლო მანძილზე, გამოიწვევს სამართალდარღვევის ჩამდენი პირის დაჯარიმებას 50 ლარის ოდენობით.**

**ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 120-ე მუხლს დაემატება 11 ნაწილი. 120-ე მუხლის პირველი ნაწილი ითვალისწინებს პირის პასუხისმგებლობას იმ შემთხვევაში, როდესაც სატრანსპორტო საშუალებაზე ციმციმა სიგნალი დამონტაჟებულია შს მინისტრის მიერ განსაზღვრული წესის დარღვევით (სპეციალური ნებართვის გარეშე), ხოლო 120-ე მუხლის 11 ნაწილი განსაზღვრავს პასუხისმგებლობას აღნიშნული სამართალდარღვევის წლის განმავლობაში განმეორებით ჩადენის შემთხვევაში და 6 თვით მართვის უფლების შეჩერებას ითვალისწინებს.**

**ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 123-ე მუხლის I ნაწილის თანახმად სატრანსპორტო საშუალების გაჩერების შესახებ იმ პოლიციელის მოთხოვნის შეუსრულებლობა, რომელიც უზრუნველყოფს საგზაო მოძრაობის მონაწილეთა უსაფრთხოებას ან საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის მონაწილე მძღოლის მიერ შემთხვევის ადგილის მიტოვებას, დღეს მოქმედი კანონმდებლობით იწვევს პასუხისმგებლობას - 300 ლარის ოდენობით დაჯარიმებას ან სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების შეჩერებას ერთი წლის ვადით. აღნიშნული მუხლი შინაარსობრივად გაიმიჯნა. 123-ე მუხლის I ნაწილი შეიცვალა და ითვალისწინებს პასუხისმგებლობას, როდესაც საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის მონაწილე მძღოლი მიატოვებს შემთხვევის ადგილს ან ავტოსატრანსპორტო საშუალებას გადააადგილებს შემთხვევის ადგილიდან, ასეთ შემთხვევაში პირი დაჯარიმდება 250 ლარის ოდენობით, ხოლო 123-ე მუხლის II ნაწილის მიხედვით, სატრანსპორტო საშუალების მძღოლის მიერ იმ პოლიციელის მოთხოვნის შეუსრულებლობა, რომელიც უზრუნველყოფს საგზაო მოძრაობის მონაწილეთა უსაფრთხოებას, გამოიწვევს პირის დაჯარიმებას 300 ლარის ოდენობით.**

**ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში 123-ე მუხლს დაემატა მე-3 ნაწილი, რომლითაც განისაზღვრება პირის პასუხისმგებლობა გზაზე მარეგულირებლის მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში და გამოიწვევს პირის დაჯარიმებას 50 ლარის ოდენობით.**

**ამასთან, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში 125-ე მუხლს დაემატა 63-ე ნაწილი, რომლითაც განისაზღვრება პირის პასუხისმგებლობა სატრანსპორტო საშუალებაზე საცნობი ნიშნის (მაგ: ინვალიდი, ყრუ, ბავშვები...) დამაგრების წესების დარღვევით მოძრაობის შემთხვევაში, რაც გამოიწვევს მძღოლის ან საწარმოს დაჯარიმებას 50 ლარის ოდენობით.**

**ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში 1271-ე მუხლს დაემატა 11 ნაწილი, რომლითაც განისაზღვრება პირის პასუხისმგებლობა სატრანსპორტო საშუალებით ბავშვთა გადაყვანის უსაფრთხოების წესების დარღვევის შემთხვევაში, რაც გამოიწვევს დაჯარიმებას 40 ლარის ოდენობით.**






## „კავკასუს ონლაინი“ ინტერნეტ მომსახურებას აძვირებს

**„კავკასუს ონლაინი“ პირველი მარტიდან ინტერნეტ მომსახურებას გააძვირებს. ამასთან, როგორც კომპანიიდან იტყობინებიან, მომსახურების გაძვირებასთან ერთად გაიზრდება ინტერნეტის სიჩქარეც.**

**„კავკასუს ონლაინის“ მინიმალური პაკეტის ღირებულება, რომლის სიჩქარეც 5 მბ-ით იწყებოდა და 20 ლარი ღირდა, პირველი მარტიდან სიჩქარე გაორმაგდება და 10 მბ ინტერნეტის ფასი - ახალ პაკეტში 25 ლარი იქნება. რაც შეეხება დანარჩენი პაკეტების ფასებს, კომპანიის ინფორმაციით, 30 მბ — 35 ლარი, 50 მბ — 45 ლარი, 100 მბ — 100 ლარი ეღირება.**

**ცალკე შეიქმნა სპეციალური ტარიფი რეგიონებისათვის 5 მბ — 20 ლარად, რომლითაც მომხმარებლები რუსთავსა და ფოთში, მოგვიანებით კი სხვა ქალაქებშიც ისარგებლებენ. თბილისში მომხმარებელი თვითონ აირჩევს რომელი ახალი პაკეტით ისარგებლებს 1 მარტიდან, ხოლო თუ მითითებულ პერიოდამდე, მომხმარებელმა ეს არჩევანი არ გააკეთა, ავტომატურად ჩაერთვება არსებული პაკეტით გათვალისწინებული სიჩქარის შესაბამისი ახალი პაკეტი გაზრდილი სიჩქარით. პაკეტის ცვლილების შესახებ ინფორმაციას ყველა მომხმარებელი ინდივიდუალურად, სმს შეტყობინების სახით მიიღებს.**

ინტერპრესი

# ქართულ მეცნიერებას სათავეში კვლავაც საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია უნდა ჩაუდგეს



**დღეისათვის კვლავაც უმწვავეს პრობლემად რჩება მეცნიერებაში ჯერ კიდევ არსებული რესურსების შენარჩუნების, მეცნიერების მართვისა და ორგანიზაციის საკითხების მოგვარება ჩვენს ქვეყანაში.**

**ქართული მეცნიერების მდგომარეობასა და პერსპექტივებზე ჩვენ ვისაუბრებთ ერთ-ერთი აკადემიური კვლევითი დაწესებულების — ფარმაკოქიმიის ინსტიტუტის მაგალითის მეშვეობით.**

წამალთმცოდნეობას საქართველოში უძველესი ტრადიცია აქვს და ქართული ერის კულტურული მემკვიდრეობის განუყოფელი ნაწილია. ფარმაკოქიმიური მეცნიერება და ქიმიურ-ფარმაცევტული მრეწველობა ჩვენში ადგილობრივი მრავალფეროვანი ფლორისა და მდიდარი მინერალური ნედლეულის შესწავლით და გამოყენებით განვითარდა, რასაც დასაბამი მიეცა ფარმაკოქიმიიის ინსტიტუტის დაარსებით (1932 წ.) აკადემიკოს ი. ქუთათელაძის ხელმძღვანელობით.

ქიმიურ-ფარმაცევტული მრეწველობა მსოფლიოში ეკონომიკურად ერთ-ერთი ყველაზე მაღალეფექტური დარგია. მისმა პროგრესულმა ზრდამ საბაზრო ეკონომიკის პირობებში სამკურნალო საშუალებათა მოზღვავება გამოიწვია.

მაშინ, როდესაც თანამედროვე მედიცინა რამდენიმე ათეულ ათას დაავადებას ითვლის, ხოლო ზოგიერთმა მათგანმა არსებული სამკურნალო საშუალებების — ანტიბიოტიკებისა და რიგი სინთეზური პრეპარატისადმი მდგრადობა გამოამჟღავნა, წამლისმიერი ტოქსიკურობის შემთხვევები გახშირდა, მთელ მსოფლიოში გაძლიერდა ინტერესი ბუნებრივი წარმოშობის პრეპარატებისადმი. ეს გარემოება ჩვენს ქვეყანას დიდ ვალდებულებას აკისრებს, რომ გადაიდგას ნაბიჯები ადგილობრივი რესურსების გამოყენებით მრეწველობის განვითარებისა და ეკონომიკური წინსვლისათვის.

საქართველოში ოთხი ათასზე მეტი სახეობის მცენარეა აღწერილი; გარდა ამისა, უცხოეთიდან შემოტანილი მრავალი დეკორატიული თუ საკვები კულტურა კარგად შეეგუა ქვეყნის პირობებს და ჩაერთო ჩვენს ფლორაში. საქართველოს ბუნება ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებათა დაუშრეტელი წყაროა, ფარმაკოქიმიური კვლევებისა და სამკურნალო საშუალებების შექმნისათვის განუსაზღვრელი პერსპექტივა ისახება.

სამკურნალო პრეპარატების შექმნა საკმაოდ რთული პროცესია, 12-15 წლის რეგულარულ კვლევებს, სხვადასხვა მომიჯნავე დარგის მაღალკვალიფიციური კადრების ერთობლივ მოღვაწეობას და რამდენიმე ასეული მილიონი დოლარის ინვესტირებას მოითხოვს.

სამკურნალო საშუალებების შექმნასთან დაკავშირებულმა ამოცანებმა განსაზღვრა ფარმაკოქიმიის ინსტიტუტის კომპლექსურობა და განაპირობა ფუნდამენტური გამოკვლევები ქიმიის, ბიოლოგიის, ფარმაციის, მედიცინის, ტექნოლოგიის, ანალიზის სფეროებში. ფუნქციონირებს ყველა საჭირო სამეცნიერო ლაბორატორია, ექსპერიმენტულ-საწარმოო ბაზა, სხვადასხვა კლიმატურ ზონაში სამკურნალო მცენარეთა საცდელი სადგურები. ამგვარად, შექმნილია ერთიანი სისტემა, ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებათა ძიებიდან დაწყებული, შემუშავებულ პრეპარატთა გამოშვებით დამთავრებული.

საქართველოს ფლორის შესწავლით გამოვლენილია სხვადასხვა ქიმიური კლასის საინტერესო შედგენილობისა და ფარმაკოლოგიური მოქმედების მქონე მრავალი სახეობა, გადაწყვეტილია ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებათა ქიმიისა და ბიოლოგიის არაერთი ფუნდამენტური საკითხი, რითაც ინსტიტუტმა საერთაშორისო აღიარება დაიმსახურა.

ინსტიტუტის ადრეული გამოკვლევები დაედო საფუძვლად საქართველოში ქიმიურ-ფარმაცევტული მრეწველობის ჩამოყალიბებას, თბილისისა და ბათუმის ფარმაცევტული ქარხნების დაარსებას.

ბოლო პერიოდში ფარმაკოქიმიის ინსტიტუტში შექმნილი 24 ორიგინალური სამკურნალო და სხვა დანიშნულების პრეპარატი, ბიოქიმიური რეაქტივი ნებადართულია პრაქტიკაში ფართო გამოყენებისათვის რუსეთის ფედერაციისა და საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროების, სათანადო სახელმწიფო უწყებების მიერ, ორგანიზებულია მათი წარმოება და უზრუნველყოფილია პროდუქციის რეალიზაცია.

ცალკე აღნიშვნის ღირსია რადიკალური საგულე პრეპარატები — **დიგიტოქსინი** და **აცეტილდიგიტოქსინი**; შეუცვლელი, ძვირადღირებული და დეფიციტური ბიოქიმიური რეაქტივი — **დიგიტონინი; ტრიბუსპონინი** — ათეროსკლეროზის მკურნალობისა და პროფილაქტიკისათვის, ანაბოლიტური და ადამიანის გენერატიული ფუნქციის მასტიმულირებელი; **კარიპაზიმი** — ნეიროქირურგიაში, ნევროლოგიაში, ორთოპედია-ტრავმატოლოგიაში ფართოდ გამოყენებული პროტეოლიტური ფერმენტული პრეპარატი; **კოლხიცინი** — ე.წ. პერიოდული დაავადების ერთადერთი საშუალება მსოფლიოში, გამოიყენება აგრეთვე ამილოიდოზის, პოდაგრის საწინააღმდეგოდ, ხოლო კოლხიცინი-რეაქტივი მცენარეთა და ცხოველთა სელექციის ბიოლოგიურ ექსპერიმენტებში იხმარება; **ფლარონინი** — ჰიპერაზოტემიით გამოწვეული თირკმლის უკმარისობის, პიელონეფრიტის, გლომერულონეფრიტის, ნეფროსკლეროზის სამკურნალო პრეპარატი; **კავსურონი** - სასუნთქი გზების ანთების საწინააღმდეგო; **ფაციფლოგინი** — რევმატოიდული დაავადებების, ანთების საწინააღმდეგო, ტკივილგამაყუჩებელი; **ცარუბოლი** — ჰეპატოპროტექტორული და ნაღველმდენი; **სატურინი** - ჰიპოგლიკემიური პრეპარატი - 2 ტიპის დიაბეტისათვის; **გინკო-ბათი** — სისხლის მიმოქცევის გამაუმჯობესებელი; **როდოპესი** — ყველა სახის ჰერპესული ინფექციებისათვის; **რამნილი** — კუჭ-ნაწლავის დისფუნქციის მომწესრიგებელი; **ფსორანტრონი** — ფსორიაზის საწინააღმდეგო; **თეასაპონინი** — ვეტერინარული ვაქცინების ადიუვანტი; **ალექსინი** — სოფლის მეურნეობის კულტურების ზრდა-განვითარების სტიმულატორი, რომლის მცირე კონცენტრაციის წყალხსნარებით დამუშავებით 30-65%-ით იმატებს მოსავლიანობა, ეკოლოგიურად სრულიად სუფთა, მაღალხარისხოვანი პროდუქცია მიიღება. მოწოდებულია სტეროიდული ჰორმონალური პრეპარატების სინთეზის რენტაბელური საწყისი ნედლეული — **ტიგოგენინი**. მისგან სინთეზირებულია ანთების, ავთვისებიანი სიმსივნის, რევმატოიდული დაავადებების, ტუბერკულოზის საწინააღმდეგო, ანტიარითმული, ანტიალერგიული, დერმატოლოგიური პრეპარატები, მიორელაქსანტები და სხვა.

მინერალური ნედლეულიდან აღსანიშნავია ბენტონიტური თიხის პრეპარატები: **თიხა-ასკანე, ასკანკოლი, ბენტობოლი** — დერმატოლოგიული და ანტაციდური საშუალებანი.

ფარმაკოქიმიის ინსტიტუტში მიღებულია, აგრეთვე, არაერთი ფარმაკოლოგიურად ეფექტური ნივთიერება, რომლებიდანაც უნდა შეიქმნას ანტიარითმული, ურემიის, ათეროსკლეროზის, ანთების, რევმატოიდული დაავადებების, კანის ავთვისებიანი სიმსივნის, ვირუსული გრიპის საწინააღმდეგო, სისხლის წარმოქმნის მასტიმულირებელი პრეპარატები, ანტიოქსიდანტები, იმუნომოდულატორები.

გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ შესაბამისი პროფილის დაწესებულებებთან თანამშრომლობით ინსტიტუტში არსებობს მცენარეული წარმოშობის ნებისმიერი პრეპარატის შექმნისა და წარმოების საშუალება.

მეცნიერების თანამედროვე დონის, ეკოლოგიური და ეკონომიკური თვალსაზრისით განსაკუთრებით პერსპექტულია სამკურნალო საშუალებათა მიღება ბიოტექნოლოგიის, კერძოდ, მიკრობიოლოგიური სინთეზის გზით, აბორიგენული მიკროორგანიზმების გამოყენების მეშვეობით.

ფარმაკოქიმიური მეცნიერების წარმატებებს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის შემადგენლობაში მოღვაწეობა განაპირობებდა, სადაც მრავალდარგობრივი, მაღალინტელექტუალური შემოქმედებითი გარემო იყო ჩამოყალიბებული.

ნაციონალური ხელისუფლების მოსვლის შემდეგ, მეცნიერებათა აკადემიის სისტემიდან გამოყვანის და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტთან შეერთების შედეგად მკვეთრად დაქვეითდა ფარმაკოქიმიის ინსტიტუტის მოღვაწეობა: გაუქმდა და გასხვისდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზების მნიშვნელოვანი ნაწილი, მოიშალა კვლევების კომპლექსური სისტემა, შეწყდა ინსტიტუტის მიერ მოწოდებული კარგი თერაპევტული მოქმედების მქონე მცირე მოცულობის, მაგრამ ეკონომიკურად მომგებიანი პრეპარატების მიღება (გარდა პრეპარატ კარიპაზიმისა) და სხვა.

გაფორმდა ხელშეკრულება შპს „ფარმაკთან“ და დამონტაჟდა სპეციალური საამქრო ბათუმის ქიმიურ ფარმაცევტულ ქარხანაში 70 წლის განმავლობაში წარმოებული მრავალსტადიური, ტექნიკურად რთულად შესასრულებელი პრეპარატის — პლატიფილინის ბიტარტრატის — საწარმოო მასშტაბით მიღებისათვის, რაც ინსტიტუტის მიზანს არ წარმოადგენს, ეკონომიკურად არახელსაყრელია და ეკოლოგიურ საფრთხეს ჰქმნის.

საქართველოში ფარმაკოქიმიური მეცნიერების დარგის შენარჩუნებისა და განვითარებისათვის ქვეყანას ჯერ კიდევ დიდი შესაძლებლობები აქვს, არსებული მეცნიერული პოტენციალის, საწარმოო-ტექნიკური ბაზების გამოყენებით, ადგილობრივი მდიდარი რესურსების შესწავლის გზით.

როგორც საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა გიორგი კვესიტაძემ ა/წ 17 იანვარს აკადემიის საერთო კრებაზე ბრძანა, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია მოწოდებულია საფუძვლიანად გააანალიზოს ქვეყნის ინტერესებსა და ეკონომიკურ განვითარებასთან დაკავშირებული მეცნიერების ყველა ფუნდამენტური დარგი, ახალგაზრდა სპეციალისტთა მომზადება, დაამყაროს კონტაქტები საზღვარგარეთის მეცნიერებათა აკადემიებთან, სოლიდურ სამეცნიერო ინსტიტუტებთან და შექმნას კვლევის ერთობლივი ცენტრები.

სწორედ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სისტემაში დაბრუნება მოგვცემს შემოქმედებითი მოღვაწეობის საშუალებას ადგილობრივი ბუნებრივი რესურსების - ღვთის მიერ ბოძებული ამ განუმეორებელი სიმდიდრის გამოყენებისათვის, მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში გარკვეული წვლილის შეტანისათვის.

ფარმაკოქიმიის მეცნიერების გაძლიერება განაპირობებს ქვეყნის ერთ-ერთი ტრადიციული და პრიორიტეტული, მცირეტონაჟიანი, მაგრამ ეკონომიკურად მაღალეფექტური, ჭეშმარიტად **სამამულო** ქიმიურ-ფარმაცევტული მრეწველობის განვითარებას, რომელიც მოსახლეობას ხელმისაწვდომი, ეფექტური, უვნებელი რიგი პრეპარატებით მოამარაგებს; საქართველოს უნიკალური ბუნებრივი სიმდიდრის რაციონალური გამოყენების, სწორი ექსპლოატაციის და შენარჩუნების გარანტიას შექმნის; ამასთანავე, აგრარული სექტორის, პარფიუმერია-კოსმეტოლოგიის წარმოებისათვის საჭირო საკითხების გადაწყვეტას შეუწყობს ხელს.

იმედს გამოვთქვამთ, რომ ჩვენი ხელისუფლება დროულად მიიღებს სამართლიან გადაწყვეტილებას, ქართულ მეცნიერებას სათავეში ჩაუყენებს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიას, აღჭურავს მას დამსახურებული უფლებამოსილებით და ამით სახელმწიფოს აღმშენებლობას მკვიდრ მეცნიერულ საფუძველს შეუქმნის.

**ეთერ ქემერტელიძე,**
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი

ალიან-ჩალიანი

## ემზარ კვიციანი დაკავებულია



**— ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს. უწყებაში ამ ეტაპზე სხვა დეტალებზე არ საუბრობენ, თუმცა არსებული ინფორმაციით , მისი აყვანა თბილისის საერთაშორისო აეროპორტში, საპასპორტო კონტროლის გავლის დროს მოხდა.**

**ემზარ კვიციანი საქართველოში ცოტა ხნის წინ ჩამოფრინდა. მას აეროპორტში ნათესავები და მეგობრები დახვდნენ.**

**კოდორის ხეობაში პრეზიდენტის ყოფილ რწმუნებულს ემზარ კვიციანი, რომელმაც რუსეთში დეპორტი მიიღო, საქართველოში ძებნილად არის გამოცხადებული. მას სამხედრო ამბოხებასა და ტერორისტული აქტების მოწყობაში ედება ბრალი.**

ინტერპრესი

გასხვისებული მიწა

# უგუნურად გადადგმული ნაბიჯების მძიმე შედეგები



**სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში რამდენიმე წლის წინათ ევროპიდან უამრავი იაფი მიწის მსურველი გადმობარგდა ამ ქვეყანაში. მათ ადაპტაცია მშვენივრად გაიარეს, ფეხი მოიკიდეს, დასახლდნენ და წარმატებული ფერმერული მეურნეობაც ააწყვეს.**

იმ დროს საქართველოს პირველი ლედი ეროვნებით ჰოლანდიელი სანდრა რულოვსი იყო. იმჟამინდელი ხელისუფლების კულუარებიდან გამოსული ინფორმაციით, სწორედ მისი გულის მოგების მიზნით ეკონომიკის მინისტრმა მეპურე ვერამ და ბუნებრივი რესურსებისა და გარემოს დაცვის მინისტრმა მომღერალმა გოგა ხაჩიძემ, პრეზიდენტს ურჩიეს აფრიკის სამხრეთში შევიწროებული ბურებისთვის საქართველოს სხვადასხვა რეგიონში გამოეყოთ ფართები და იქ ჩაესახლებინათ.

სააკაშვილმა, მეუღლესთან მოთათბირების შემდეგ, იდეა მოიწონა და შესაბამისი მითითებებიც გასცა. ოფიციალურად კი ყოველივეს საქართველოს ხელისუფლების ჰუმანურობითა და ბურების წლების განმავლობაში დაგროვილი ფერმერული მეურნეობის წაძღოლის გამოცდილების ქართველი გლეხებისათვის შესწავლა-გაცნობის აუცილებლობით ხსნიდა. ბურებმაც პატარ-პატარა პარტიებით იწყეს ჩამოსვლა და დასახლება, თავდაპირველად ისინი, როგორც სტუმარს, ახალმოსახლეს შეეფერება, მორიდებულად იქცეოდნენ. ნელ-ნელა კი მფლობელისთვის დამახასიათებელი იერ-სახის გამოვლინება იწყეს.

გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ ლემშვენიერას მცხოვრებთა განცხადებით, 2008 წელს, ზედ ომის პერიოდში, ეკონომიკის სამინისტრომ სოფლის კუთვნილი 1000 ჰექტარი მიწა გაურკვეველ ვითარებაში კომპანია „კავკასუს აგროდეველოპმენტზე“ გაასხვისა. იმან კი თავის მხრივ 2011 წელს მიწის ფართობი ბურებს მიჰყიდა. აქამდე ჩამოსახლებულნი ჩუმად იყვნენ, ცოტა ხნის წინათ კი ადგილობრივებს ულტიმატუმის ენაზე დაუწყეს საუბარი და მოითხოვეს, რომ მათ კუთვნილ მიწებზე ლემშვენიერელებს საქონელი აღარ შეეშვათ, თორემ...

მოთხოვნის საპირისპიროდ ადგილობრივებმა აქცია გამართეს. ისინი ამბობენ, რომ გასხვისების შემდეგ სოფელს მხოლოდ 600 ჰა მიწა დარჩა, რომელიც მოუსავლიანი და საძოვრადაც კი გამოუსადეგარია. აქციაზე ისიც ითქვა, რომ სოფელი მეცხოველეობით ირჩენს თავს და მათ არც წყალი აქვთ, არც ბუნებრივი აირი და არც გზა. საპროტესტო აქციის მონაწილეებმა საგულისხმო ფაქტიც აღნიშნეს... სოფლის მცხოვრებლებმა ადრე, როდესაც მიწა გაცილებით იაფი ღირდა, ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფალთ მიმართეს თხოვნით, მიეყიდათ ის ლემშვენიერას მოსახლეობისათვის, მაგრამ უარი მიიღეს. გაძვირების შემდეგ კი მიწა კერძო კომპანიას მიჰყიდეს, რომელმაც შემდგომი გაძვირების დროს ბურებზე გაასხვისა. აქციის მონაწილეთა ერთსულოვანი გადაწყვეტილებით, ისინი ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლებისგან მოითხოვენ გასხვისებული სოფლისათვის დაბრუნებას. მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში იგეგმება საპროტესტო გამოსვლების დედაქალაქში, სახელმწიფო კანცელარიასთან გადატანა.

გარდაბნის რაიონის ხელმძღვანელობაში აცხადებენ, რომ ამჟამად საქართველოს ეკონომიკის სამინისტროსთან ერთად აქტიურად მიმდინარეობს მოლაპარაკებები მიწის ამჟამინდელ მფლობელებთან, რათა მოხდეს ბურების მიწის ფართობების მონაცვლეობა სხვა ტერიტორიებით. მოლაპარაკებების წარმატებით დამთავრების შემთხვევაში სოფლის მოსახლეობას დაუბრუნდება მიწა და ის უსასყიდლოდ გადავა ლემშვენიერას საკუთრებაში.

**ზაზა ბილიხოძე.**

**P. S. სპეციალისტები და ექსპერტები გაოცებას ვერ მალავენ იმ ფაქტის გამო, რომ ხელისუფლებამ, რომელსაც უამრავი იძულებით გადაადგილებული და ეკომიგრანტი ჰყავს ქვეყნის შიგნით, საკუთარი, ისედაც მწირი რესურსებიდან მიწის ფართი გამოუყო უცხოელებს მუდმივ მფლობელობაში. საინტერესოა, რომ თვით სოფელ ლემშვენიერაში სვანეთიდან, 1987 წელს მომხდარი ეკოლოგიური კატასტროფის დროს ჩამოსახლებული 600 ეკომიგრანტი ოჯახია დასახლებული და ჯერაც არ არის სრულად დაკმაყოფილებული მათი ელემენტარული მოთხოვნები მიწის ფართზე.**

**ადმინისტრაციული სამართლის სპეციალისტი დოცენტი გოგი გიორგაძე აცხადებს, რომ ამ შემთხვევაში დარღვეულია კანონი მიწის საკუთრებაში გადაცემის შესახებ, რადგანაც, უპირველეს ყოვლისა, მიწის გასხვისების თანხმობა უნდა გასცეს სოფლის მოსახლეობამ. მათ უნდა მიეცეთ პირველ რიგში შეთავაზება შესყიდვაზე და თუ არ იქნა სურვილი, მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი უცხო იურიდიულ თუ ფიზიკურ პირზე გასხვისება.**

**ზ. ბ.**

პრობლემა

# რა აბრკოლებს სამუშაო ადგილების შექმნას?

**საქართველოში ბავშვების ორი მესამედი გაუნათლებელია! — რაოდენ სამწუხარო და საგანგაშოც არ უნდა იყოს, „იუნისეფის“ გასული წლის კვლევის შედეგი ასეთია. კვლევის სხვა დეტალები ცალკე მსჯელობის თემაა, თუმცა, ანგარიშიდან კიდევ ერთი ასპექტი მსოფლიო ბანკის ყურადღების ცენტრში მოხვდა. მაგალითად, ის, რომ 15 წლის მოზარდთა ნახევარზე მეტს არ შეუძლია წაკითხული ტექსტიდან შინაარსის, ანუ ძირითადი „მესიჯების“ გამოტანა.**

ინფორმაციებს საქართველოს განათლების მინისტრიც ისმენდა სასტუმრო „რედისონში“ გამართულ შეხვედრაზე, სადაც მსოფლიო ბანკის წარმომადგენელმა **კაროლინა სანჩეს-პარამომ** საზოგადოებას უმუშევრობის შესახებ პრეზენტაცია წარუდგინა. მან ხაზგასმით და კონკრეტულად მიანიშნა, რომ დასაქმებისთვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პირობას წარმოადგენს განათლება, რომელიც საქართველოში ერთობ დაბალია. ანგარიშში არა მარტო საქართველო, არამედ ზოგადად ევროპისა და ცენტრალური აზიის ქვეყნები მიმოიხილეს. **„როგორ დავაბრუნოთ ადამიანები სამუშაო ადგილებზე?“** — ასე ერქვა თემას, თუმცა, შინაარსი იმდენად უიმედო და საქართველოს შემთხვევაში, შემაძრწუნებელიც კი იყო, რომ მაინცდამაინც პერსპექტივის დიდ მოლოდინს არ აჩენდა, უახლოესი ათწლეული მაინც.

ქალბატონი კაროლინას კვლევებში, საქართველოს თითქმის ყველა საზომით შუალედური მდგომარეობა აქვს. **„ჩვენ შევისწავლეთ ბოლო 10 წლის ვითარება, რათა შევაფასოთ მომავალი 10 წელიწადი,** — აღნიშნა მსოფლიო ბანკის წარმომადგენელმა, **— გვინდა, შემცირდეს სიღარიბე, რადგან საქართველოში სულ რაღაც 35 პროცენტია დასაქმებული. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამისთვის საჭიროა სტრუქტურული რეფორმები და, რა თქმა უნდა, დრო“,** — დასძინა მან.

ფინანსურმა კრიზისმა შეაშფოთა მთავრობები, რასაც მოჰყვა სამუშაო ადგილების შემცირება. თუმცა, ამ პროცესებიდან თავდაღწეულმა ქვეყნებმა დაიწყეს დასაქმების მაჩვენებლის გაუმჯობესებაზე ფიქრი. ბიზნესგარემოს ხარისხის მაღალი მაჩვენებელი აქვთ ესტონეთს, უნგრეთს, სლოვაკეთსა და პოლონეთს (4-ზე მეტი ნიშნული), საქართველოს კი 3,5-ზე ცოტათი დაბალი ქულა ერგო. მაგალითად, პოლონეთში მეტი სამუშაო ადგილი იქმნება, ვიდრე უქმდება, ჩვენთან ამ მიმართულებით დინამიზმი არის დასაქმების ბაზაზე, მაგრამ უქმდება მეტი, ვიდრე იქმნება.



რა არის სამუშაო ადგილების შექმნის დამაბრკოლებელი? — მსოფლიო ბანკის ვარაუდით, ეს არის ქვეყანაში ცუდად განვითარებული მეწარმეობა. არის ქვეყნებში მსხვილი ბიზნესი, მაგრამ, მათი აზრით, უმჯობესია მეტად იყოს განვითარებული მცირე ბიზნესი, შეიქმნას პატარ-პატარა ფირმები, მცირე კომპანიები, მეწარმეობა — სწორედ ამაში ხედავენ ისინი დიდ პოტენციალს. საქართველოშიც და სხვა ქვეყნებშიც ჩაატარეს გამოკითხვა იმის შესახებ, უნდათ თუ არა ადამიანებს, ჰქონდეთ საკუთარი მცირე ბიზნესი? გამოკითხულთა უმრავლესობას უნდა, მაგრამ ამათგან ნახევარზე მეტს არასოდეს უცდია საქმის წამოწყება და არც აქვთ სურვილი, რეალობად აქციონ ოცნება. კაროლინას გაოცებას იწვევს ის ფაქტი, რაც საქართველოსთვის ჩვეულებრივი მახასიათებელია: **„ადამიანები ცხოვრობენ იმ მოწეული მოსავლით, რაც ოჯახში მოეპოვებათ და ასევე დროებითი სამუშაოთი“,** — ამბობს ის.

რა აწუხებს დამსაქმებელს? — მსოფლო ბანკის დასკვნით, ეს არის კვალიფიკაცია. საქართველოში საკმაოდ მაღალია უმაღლესდამთავრებულთა რიცხვი, მაგრამ ბაზარი აბსოლუტურად სხვა უნარებს მოითხოვს. ამიტომაც მათგან ძალიან ცოტა თუ აკმაყოფილებს დამსაქმებლის წაყენებულ პირობებს.

რა არის საჭირო დასაქმების გაზრდისთვის? — საჭიროა ეკონომიკის მდგრადი განვითარება, ამავე დროს, კერძო სექტორი უნდა გახდეს წამყვანი ძალა და მთავარია — კვალიფიკაცია. ეს რეკომენდაცია არ ეხება მხოლოდ საქართველოს. ევროპასა და ცენტრალური აზიის ქვეყნებსაც მსგავსი პრობლემები აქვთ.

**თამარ სანიკიძემ** განაცხადა, რომ „იუნისეფის“ მონაცემები მისთვისაც ცნობილია. **„სწავლა სკოლამდელ ასაკში იწყება. ამიტომაც სრულიად ახალი მეთოდები შევიმუშავეთ, რათა უფრო მომზადებული პატარები მოვიდნენ სკოლაში. ჩვენ გვქონდა პროფესიული განათლების სისტემა, რომელიც დაინგრა. ამის აღდგენაზეც სერიოზულად ვმუშაობთ, რათა სწავლის ხარისხი გავაუმჯობესოთ და ხელმისაწვდომიც გავხადოთ. მოკლედ, რეფორმებისა და რეორგანიზაციის სრული სურათი გვექნება გაზაფხულზე და პრეზენტაციასაც გავმართავთ“,** — აღნიშნა მან.

ფინანსთა მინისტრმა **ნოდარ ხადურმა** მადლობა გადაუხადა მსოფლიო ბანკს 20 წლის განმავლობაში გაწეული დახმარებისთვის და აღნიშნა: **„სამწუხაროდ, გასული წლების ეკონომიკური ზრდა უმუშევრობაზე არ აისახა. ჩვენ შევიმუშავეთ სტრატეგია 2020 წლამდე, რომელიც თავის არსით არის ინკლუზიური, ანუ მისი შედეგი უნდა იგრძნოს თითოეულმა ოჯახმა. ჩვენი გათვლებით, მთავარი დამსაქმებელი უნდა გახდეს კერძო ბიზნესი. მიზანი კი ასეთი გვაქვს — არაფორმალურად დასაქმებულები გახდნენ ფორმალურად დასაქმებულები... არიან ქვეყნები, რომელთაც საბაჟო პრინციპებით მუშაობის 200-300-წლიანი გამოცდილება აქვთ, ჩვენ მხოლოდ — 20-წლიანი, ამიტომაც გვჭირდება ამ მიმართულებით მსოფლიო ბანკის დახმარება“,** — დასძინა მან.

**ნია ფიფია**

ალიან-ჩალიანი



## დიდი ლილოს ტერიტორიაზე მიუსაფართათვის საცხოვრისი აშენდება

**— ამის შესახებ რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა დავით ნარმანიამ გუშინ მიუსაფართა პრობლემების მოგვარებაზე მომუშავე სამთავრობო კომისიის სხდომის დაწყებამდე განაცხადა.**

**„დღევანდელ სხდომაზე განვიხილავთ უსახლკაროთათვის, მიუსაფართათვის საცხოვრისის მშენებლობასთან დაკავშირებულ საკითხს. წინა სხდომაზე გაცემული დავალების შესაბამისად, მუნიციპალური განვითარების ფონდმა ძირითადი საპროექტო დოკუმენტაცია და ხარჯთაღრიცხვა მოამზადა. აქედან გამომდინარე, დღეს დეტალურად გავივლით ამ პროექტს და მივიღებთ გადაწყვეტილებას იმასთან დაკავშირებით, რომ მივმართოთ მთავრობას ამ პროექტისთვის დაფინანსების გამოსაყოფად“, — განაცხადა ნარმანიამ.**

**მისივე თქმით, ეს იქნება სენდვიჩ-პანელის ტიპის დასახლება, რომლის მშენებლობას დაახლოებით 2 თვე დასჭირდება. კერძოდ, საცხოვრისის აშენება იგეგმება 240 მიუსაფარი ადამიანისთვის და ამას ბიუჯეტიდან მილიონნახევარი ლარის გამოყოფა დასჭირდება.**

**ინტერპრესი**

◉ თქმა მართლისა...

# ასაჩენი ალუბალი

## ღია წერილი რეჟისორ ლევან წულაძეს

ბატონო ლევან,

გუშინ თქვენს ახალ სცენაზე „მთვრალი ალუბალი“ ვნახე.

ვერ მოგატყუებთ: იმის მიუხედავად, რომ თეატრი უზომოდ მიყვარს, სპექტაკლი ბოლომდე არ მინახავს: რადგან ბავშვიც მახლდა, პირველი მოქმედების შემდეგ წამოვედი. ასეც რომ არ ყოფილიყო, ალბათ, მაინც წამოვიდოდი. იმიტომ კი არა, რომ ვერ გავძლებდი (უარესისთვისაც გამიძლია), უფრო პროტესტის ნიშნად.

ეს მარჯანიშვილის თეატრის ახალი სცენაა.



სპექტაკლის დაწყებამდე რომ არ აცხადებდნენ, მარჯანიშვილის თეატრი მოგესალმებათ და მობილური ტელეფონების გამორთვას გთხოვთო, ალბათ, ვერც მივხვდებოდით, სად ვიყავით.

მარჯანიშვილის თეატრში ასეთი სპექტაკლის დადგმას, იმედია, ვერც გაბედავდით.

ახალი სცენაც, ეტყობა, იმისთვის დაგჭირდათ, რომ ასეთი სპექტაკლები დაგედგათ.

რისთვის დგამთ ასეთ სპექტაკლებს? შემოსავლისთვის?! მაგრამ ეს ხომ კერძო თეატრი არ არის, მსგავსი გადაწყვეტილება იძულებით ნაბიჯად რომ აღვიქვათ?!

ვისთვის დგამთ ასეთ სპექტაკლებს? — იმ მაყურებლისთვის, თეატრში უხამსობის სანახავად რომ დადის?! მაგრამ ასეთებს ხომ ტელევიზიები ისედაც უხვად სთავაზობენ გაცილებით ბილწ სანახაობებს („კომედიშოუები“, „პროფილები“ და მისთ.)?! ბოლოს და ბოლოს, ისეთი არხიც არსებობს, ყველაფერი სულ მთლად რომ არის გაშიშვლებული... ვარსიმაშვილის „ფილმებიც“ არ დაგვავიწყდეს!

მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული (სიტყვა „აკადემიური“ სად გაქრა?!) თეატრის ამოცანა რა უნდა იყოს — ამ დამღუპველ ტენდენციებს აჰყვეს თუ დაუპირისპირდეს?!

დაპირისპირებისა სპექტაკლს არაფერი ეტყობა, პირიქით, ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ თქვენც — პიესის ავტორი და დამდგმელი რეჟისორი (ალექსანდრე ელოშვილთან ერთად), ასევე მსახიობებიც, უხამსობის ჩვენებით უზომოდ ტკბებით.

არ გინდათ დრამატურგობა, ბატონო ლევან. თუ ქართულ პიესებს ვერ პოულობთ, პროზის სამყაროში მიმოიხედეთ: „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა“, „ყოველმან ჩემმან მპოვნელმან“, „სამოსელი პირველი“, „მუსიკა ქარში“... მათ შეეჭიდეთ და დაამტკიცეთ, რომ მართლაც შეგწევთ ძალი ქადილისა. საერთოდ, მყარად დადექით ეროვნულ ნიადაგზე (ეს თქვენი თაობის სხვა ნიჭიერ რეჟისორებსაც ეხებათ. უამისოდ, ჭეშმარიტად ღირებულს, დიდს, მნიშვნელოვანს ვერაფერს შექმნით. არადა, წლები ულმობლად მიქრიან. უკვე აღარც ისე ახალგაზრდები ხართ. დაფიქრდით ამაზე...)

სამწუხაროდ, თქვენ აჰყოლიხართ, ბატონო ლევან...

ეს მით უფრო სამწუხაროა, რომ ამგვარ ცდუნებას უდავოდ ნიჭიერი რეჟისორი დამორჩილებია.

არადა, როგორ გავიხარეთ, თქვენი „ქაქუცა ჩოლოყაშვილი“ რომ ვნახეთ. გამოვეხმაურეთ კიდეც: ჟურნალში „ჩვენი მწერლობა“ ზედიზედ გამოქვეყნდა სამი რეცენზია (რაც უპრეცედენტო შემთხვევაა). ავტორები: ნათელა არველაძე, როსტომ ჩხეიძე და თქვენი მონა-მორჩილი...

როგორ გვიხაროდა, რომ რეჟისორის ნიჭთან ერთად, მისი ეროვნული სულისკვეთებაც დავინახეთ. როგორ გვინდოდა, რომ ეს ეპიზოდურ და შემთხვევით გამონათებად არ დარჩენილიყო...

სამწუხაროდ, ჯერჯერობით, ასეთად მოჩანს.

დავანებოთ თავი უხამსობას(როგორ დავანებოთ?!), მსახიობებს რას აძლევთ ასეთ სპექტაკლებში თამაში? — აქ ხომ ლაპარაკიც კი შეუძლებელია გემოვნებაზე, ხარისხზე, აქტიორულ ოსტატობაზე, მით უმეტეს მოქალაქეობრივ სათქმელზე...

ის ფაქტი, რომ „წარმოდგენაზე ყველა ბილეთი გაყიდულია“, კი არ უნდა გვახარებდეს, უნდა გვაშფოთებდეს. ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ „კომედიშოუებისა“ და „პროფილების“ დამკვეთებმა მიზანს მიაღწიეს, ანუ თქვენს მსახიობებსა და შორენა ბეგაშვილს შორის ზღვარი თითქმის წაშალეს...

თავზარდამცემია ასეთი სინამდვილისთვის თვალის გასწორება, მაგრამ თქვენ ეს უნდა შეძლოთ.

თქვენ ეს შეგიძლიათ!

თქვენ ეს გევალებათ!

აჩეხეთ მთვრალი ალუბალი და გააშენეთ ჯანმრთელი ალუბლის ბაღი...

პატივისცემით,

**იოსებ ჭუმბურიძე**

◉ მემუარები

# სარკე, რომელიც განვლილ ცხოვრებას გიჩვენებს

**ბოლო** პერიოდში ქართველი მკითხველი გამომცემლებმა მემუარული ლიტერატურით გაანებივრეს და არც არის გასაკვირი — ქვეყნის ისტორია ხომ ისტორიულ ფაქტებთან ერთად საზოგადოების ნებისმიერი წევრის ცხოვრების ნაწილიცაა და ხშირად მათი მემუარული ჩანაწერების საშუალებით ივსება. ახლახან გამომცემლობა „წიგნის სახელოსნომ“ გამოსცა საქართველოს სახელმწიფო სამედიცინო აკადემიის მიკრობიოლოგიისა და ეპიდემიოლოგიის კათედრის დოქტორის ქალბატონ **ზაირა ორჯონიკიძის** მოგონებათა წიგნი **„რა გზაც გამოვიარე“**. ავტორის პროფესია და ტიტული, ალბათ, მკითხველს წინასწარ განაწყობს სამედიცინო თემაზე შექმნილი წიგნის კითხვისთვის, მაგრამ, საბედნიეროდ (ამ შემთხვევაში), შეცდება, რადგან ქალბატონ ზაირას ცხოვრების გზა შესანიშნავი ხერხით, ლიტერატურული ნაწარმოებისთვის ჩვეული სტილით აუსახავს. ბავშვობა, იმერეთის შესანიშნავი სოფლის ნოსტალგია, სასწავლებელი, მეგობრები მართლაც დიდი სიყვარულითა და შესანატრი ოსტატობით აქვს აღწერილი.




**„რა საინტერესო ყოფილა ავტობიოგრაფიული ნაწარმოების დაწერა. მე მთელი ჩემი ცხოვრება თავიდან ხელმეორედ გამოვიარე, თანაც დღევანდელი თვალთახედვით. თითქოს იმ პერიოდის რეალური ცხოვრებით ვცხოვრობდი, რომელ პერიოდზეც ვწერდი. თუ მკითხავდნენ, თავიდან რომ იწყებდეთ ცხოვრებას, შეცვლით თუ არა რამეს თქვენს ცხოვრებაშიო, მე პირადად ცხოვრების რაღაც ნიუანსებს შევცვლიდი.**

წიგნი უხვადაა გაფორმებული ფოტოსურათებით ავტორის არქივიდან და ფოტოებიც მშვენივრად მიჰყვება ქალბატონის მიერ აღწერილ ცხოვრებისეულ გზას. წიგნის რედაქტორია ბატონი **გურამ გოგიაშვილი,** რომელიც ჩვეული პირუთვნელობით თავისი წინასიტყვაობით ეპატიჟება მკითხველს ცნობილი მეცნიერის ცხოვრების კულუარებში. აქვე გთავაზობთ ბატონ გურამის აზრს ამ საინტერესო წიგნის შესახებ.

**კაცობრიობა, ისევე როგორც ერი, ცალკეული ადამიანებისგან შედგება. აქვე უნდა ითქვას, რომ, რასაკვირველია, ადამიანს გააჩნია. ძალიან ბევრი მარტო თავისი პირადით ცხოვრობს, არავითარ მონაწილეობას არ იღებს არც ქვეყნის, არც ხალხის და, მით უმეტეს, საკაცობრიო ცხოვრებაში.**

**ასეთი ადამიანებისგან განსხვავებით, არიან ისეთებიც, ვინც, უხილავად თუ ხილულად გადაბმულია თავის დროსთან, თავის ქვეყანასთან, თავის ხალხთან, თავის თანამედროვე საზოგადოებასთან და თავისი ცხოვრებით თუ ცხოვრების წესით თავისებურ სარკეს წარმოადგენს თავისი დროის საზოგადოებრივი ცხოვრებისას.**

**დიახაც, ამგვარად პატარა, მაგრამ თავიდან ბოლომდე მართალი სარკეა, ქალბატონ ზაირა ორჯონიკიძის მიერ ეს მომცრო წიგნი, სადაც თითქმის მთელი საუკუნეა არეკლილი, ცალკე, საერთო ცხოვრებას მოწყვეტილი ბილიკი კი არ არის, თვითონ ჩვენი ქვეყნისავე და ხალხისავე გზაა.**

**ამიტომ არის ეს პატარა წიგნი — სარკე ესოდენ საყურადღებო და ძვირფასი.**

**ავთანდილ ბექაური**

◉ პრობლემა

# მილიარდამდე ღირებულების შენობები ფუნქციებს კარგავენ

**ერთ-ერთმა საზღვარგარეთელმა ანალიტიკოსმა წინა ხელისუფლების ქმედებები არაბი შეიხებისას შეადარა, როდესაც მილიარდერები თავის პრესტიჟად თვლიან შევიდნენ ამერიკის ცნობილ კაზინოებში და მილიონობით დოლარი გადაყარონ. ყოფილები თითქმის იგივეს აკეთებდნენ, მაგრამ სრულიად იყო იგნორირებული საქართველოს როგორც ქვეყნისა და მისი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა.**

პრეზიდენტ სააკაშვილის ავლაბრის რეზიდენცია, როგორც მისი დამპროექტებელი გიგა ბათიაშვილი აცხადებდა თავის დროზე, დაპროექტდა როგორც „საქართველოს სახლი“, სადაც თავმოყრილი უნდა ყოფილიყო მთელი ქვეყნის მასშტაბით კულტურული და ისტორიული მიღწევები. მაგრამ მშენებლობის პროცესში, ამჟამად უკვე პრეზიდენტყოფილმა თვალი დაადგა შენობას და მისი საკუთარ რეზიდენციად გადაქცევა ისურვა. მშენებლობის პროცესში, იხსენებენ მშენებლები და არქიტექტორები, უშუალოდ პირველი ლედის მითითებით პროექტი რამდენჯერმე გადააკეთეს. პრეზიდენტი არ ერიდებოდა თანხებს. ირგვლივ მოსახლე 27 ოჯახი გაასახლეს და მეტ-ნაკლებად დააკმაყოფილეს (ამის საჭიროება, „საქართველოს სახლის“ შემთხვევაში არ არსებობდა). ყოველივე ეს სახელმწიფოს სერიოზული თანხები დაუჯდა.

ოქტომბრის არჩევნების შემდეგ ახალმა ხელისუფლებამ არ ისურვა ძველის რეზიდენციაში შესვლა. დღეს რეზიდენცია ეკონომიკის სამინისტროს ბალანსზეა. იმის შესახებ, თუ რა შეიძლება განთავსდეს ამ შენობაში, მრავალი მოსაზრება არსებობს, მოქმედი პრეზიდენტის აზრით, იქ სასურველი იქნება განთავსდეს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი. მისი პრესცენტრის ხელმძღვანელი თაკო მჟავანაძე აცხადებს, რომ თემა ნაჩქარევად გადასაწყვეტი არ არის და ავლაბრის რეზიდენციის ბედი სხვა რეზიდენციებთან ერთად გაირკვევა.



ავლაბრის სასახლის თავდაპირველი, დაპროექტებით გათვალისწინებული დანიშნულების დაბრუნების მომხრეა არქიტექტორი ლადო ვარდოსანიძე. მას მიზანშეწონილად მიაჩნია რეზიდენციაში გაიხსნას „კავკასიური“ ან „ქართული სახლი“. სადაც იქნება, როგორც საგამოფენო, ასევე საკონფერენციო დარბაზები. რაც შეეხება შენობაში სასწავლო დაწესებულების განთავსებას, არქიტექტორს შენობა ამგვარი დანიშნულებისთვის გამოუსადეგარად მიაჩნია. ყველაზე ოპტიმალურ გამოსავლად კი კონკურსის ჩატარებას თვლის.

უფუნქციოდ დარჩა ბათუმის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის ძვირად ღირებული და ჯერ კიდევ დაუმთავრებელი შენობა. ამ შენობის ირგვლივ არქიტექტორებმა ჯერ მაშინ ატეხეს აჟიოტაჟი, როდესაც მშენებლობის პროცესი მიმდინარეობდა. მიზეზი — ნაგებობა ამახინჯებს ასწლოვანი ბულვარის იერსახეს. ამას დაემატა უნივერსიტეტზე მიბმული „ეშმაკის ბორბალიც“. მშენებლებიც და განათლების მუშაკებიც ერთხმად აცხადებდნენ, რომ შიდა დაგეგმარება საუნივერსიტეტო და საერთოდ უმაღლესი სასწავლებლისას არ შეესაბამება.

ახალი ხელისუფლების მოსვლისთანავე ითქვა, რომ ბათუმის უნივერსიტეტში განთავსდებოდნენ ბათუმის მერია და საკრებულო. დღეს აჭარის მთავრობა აცხადებს, რომ ეს არ იგეგმება; რომ ამ საკითხის გადასაწყვეტად კოორდინირებულად მუშაობენ: შეიძლება გაიყიდოს, არსებობს რამდენიმე ინვესტორი. გამოინახება ყველაზე ოპტიმალური ვარიანტი, — აცხადებენ აჭარის მთავრობის პრესცენტრში.

ჯერჯერობით არაფერი ისმის ქუთაისის 340-მილიონიანი პარლამენტის შესახებ. ან ვის რაში უნდა დასჭირდეს ეს ჯერაც დაუმთავრებელი გრანდიოზული ნაგებობა, კითხულობენ სპეციალისტები. პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე მიიჩნევს, რომ თეორიულად შესაძლებელია, გიგანტი შენობები ვიღაცას გადასცენ ან გადააკეთონ, მაგრამ თავის შენახვას ვერ შესძლებენ. ამის გამო პოლიტოლოგს საჭიროდ მიაჩნია მოხდეს პროფესიულ დონეზე განხილვა, რათა ეს შენობები ღირსეული ფუნქციებით დაიტვირთოს.

**ზაზა ბილიხოძე**

**რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე**

# საქართველო ნატოსა და ევროკავშირისგან „მკაფიო გზავნილებს“ ელოდება

## რუსმა მესაზღვრეებმა ცხინვალის რეგიონში სადემარკაციო სამუშაოები განაახლეს

**საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა მოუწოდა ნატოსა და ევროკავშირს მიიღონ ზომები, რომლებიც ხელს შეუწყობენ მათთან საქართველოს დაახლოებას. საქართველოს პრემიერის სიტყვებით, რომელიც ოფიციალური ვიზიტით ამერიკის შეერთებულ შტატებში იმყოფება, ეს აუცილებელია იმისთვის, რომ ევროატლანტიკური სტრუქტურებისკენ მიმავალ გზაზე საქართველომ შეძლოს, თავიდან აიცილოს „მესამე ქვეყნების“ მხრიდან შესაძლო „გარეგნული ზემოქმედება“.**

ღარიბაშვილის თანახმად, ნატოს შემდგომ სამიტზე უელსში ჩრდილოატლანტიკურმა ალიანსმა მაპი უნდა მიანიჭოს საქართველოს, რომელიც ახორციელებს მთელ რიგ რეფორმებს დასავლურ სტანდარტებთან მიახლოებისთვის, ევროკავშირის მხრიდან კი მიღებული უნდა იქნეს „მკაფიო დაპირება“ იმასთან დაკავშირებით, რომ აღმოსავლეთის პარტნიორობის „წარმატებულ“ ქვეყნებს, ბოლოს და ბოლოს, ჰქონდეთ შესაძლებლობა შეუერთდნენ ევროკავშირს.



შეგახსენებთ, რომ მაპი ეს არის ოფიციალური პროგრამა ნატოში ახალი წევრების მიღებასთან დაკავშირებით. მასში მონაწილეობა უნდა დაეხმაროს სახელმწიფოს, მოემზადოს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში შესვლისთვის, თუმცა, ამის გარანტიას მას არ აძლევენ. საქართველო ასევე არის ევროკავშირის პროგრამის „აღმოსავლური პარტნიორობის“ წევრი ქვეყანა. 2013 წლის ნოემბრის ბოლოს ვილნიუსის სამიტზე საქართველომ და მოლდოვამ მოახდინეს ევროკავშირთან ასოციაციის შესახებ შეთანხმების პარაფირება, აგრეთვე ხელი მოაწერეს შეთანხმებას ვაჭრობის თავისუფალი და ყოვლისმომცველი ზონის შესახებ. ელოდებიან, რომ მხარეები ხელს მოაწერენ შეთანხმებას მიმდინარე წლის აგვისტომდე.

### „ზემოქმედება გარედან“

**„უკრაინაში განვითარებული მოვლენების ფონზე სულ უფრო ცხადი ხდება, რომ გარკვეული საგარეო ზემოქმედება ასრულებს დესტრუქციულ როლს არა მხოლოდ სტაბილურობის თვალსაზრისით რეგიონში, არამედ ჩვენი ქვეყნების — საქართველოს, უკრაინისა და მოლდოვის — სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის თვალსაზრისითაც... ცხადია, რომ სანამ ევროკავშირი არ მისცემს აღმოსავლური პარტნიორობის წარმატებულ ქვეყნებს მკაფიო დაპირებას წევრობასთან დაკავშირებით, კრიზისები, ანალოგიური უკრაინისა, კვლავ და კვლავ მოხდება“, — განაცხადა ღარიბაშვილმა „ატლანტიკურ კავშირში“ გამოსვლის დროს 25 თებერვალს.**

ღარიბაშვილმა განმარტა, რომ საქართველო ელოდება ზემოქმედებას რუსეთის მხრიდან ევროკავშირთან ასოციაციის შესახებ შეთანხმების ხელმოწერის წინ, რაც, მისი სიტყვებით, უნდა მოხდეს „შემდგომი რამდენიმე თვის განმავლობაში“. ამასთან დაკავშირებით, პრემიერმა აღნიშნა, რომ რუსეთი აგრძელებს „პროვოკაციებს“ ქვეყნის სიღრმეში აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის საზღვრების გადმოწევით.

„მავთულხლართების და სხვა დაბრკოლებების დაყენება არღვევს ადგილობრივი მოსახლეობის უფლებებს. რუსეთი ახორციელებს ზემოქმედებას საქართველოსა და აღმოსავლეთ ევროპის მთელ რიგ სხვა ქვეყნებზე, იმისთვის, რომ მათ თავი შეიკავონ მისწრაფებისგან გახდნენ ევროპული გაერთიანების წევრები. გაერთიანებული საერთაშორისო თანამეგობრობა არის ერთადერთი ინსტრუმენტი, რომელიც დაგვეხმარება დავუპირისპირდეთ რუსეთის პროვოკაციებს“, — განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

პრემიერმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საქართველოსთვის აუცილებელია ამერიკის შეერთებული შტატების მხარდაჭერა — „რუსეთისთვის სწორი და მუდმივი გზავნილების გადაცემის გზით“ — იმასთან დაკავშირებით, რომ მოსკოვმა პატივი უნდა სცეს საქართველოს ევროპულ არჩევანს. თავის მხრივ, საქართველოს ხელისუფლება, განაცხადა ღარიბაშვილმა, ყველაფერს გააკეთებს შესაძლებლობისდაგვარად, რათა დაუპირისპირდეს მოსალოდნელ ზემოქმედებას გარედან.

### „კრიტიკული მდგომარეობა“

**ორკვირიანი შესვენების შემდეგ რუსმა მესაზღვრეებმა განაახლეს დაბრკოლებების მშენებლობა ცხინვალის რეგიონში, რამაც საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს პროტესტი გამოიწვია. საქართველოს საგარეო-პოლიტიკურ უწყებაში დაგმეს რუსეთის ფედერაციის „უკანონო მოქმედებები“, რომლებიც, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს თანახმად, „მწარედ აისახება“ ადგილობრივ მოსახლეობის ჰუმანიტარულ მდგომარეობაზე.**

„სამწუხაროდ, ადგილობრივ მოსახლეობას ჩამორთმეული აქვს უფლება შეასრულოს სამუშაოები თავის სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთებზე, მივიდნენ სასაფლაოებზე და მიიღონ პირველი სამედიცინო დახმარება... არსებული კრიტიკული მდგომარეობა კიდევ ერთხელ მიუთითებს იმის აუცილებლობაზე, რომ შეიქმნეს უშიშროებისა და ადამიანის უფლებათა მონიტორინგის საერთაშორისო მექანიზმები... საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო მოუწოდებს თანამეგობრობას, მისცეს შესაბამისი შეფასება არსებულ მდგომარეობას საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე და მიიღოს შესაბამისი ზომები რუსეთის უკანონო მოქმედებათა თავიდან ასაცილებლად“, — ნათქვამია საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს 25 თებერვლის განცხადებაში.

აღსანიშნავია, რომ ადრე ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, ნატომ და ევროკავშირმა დაგმეს რუსეთის მოქმედებები და გამოთქვეს შეშფოთება იმასთან დაკავშირებით, რომ რუსი მესაზღვრეების მიერ განხორციელებული დაბრკოლებები ეწინააღმდეგება საერთაშორისო კანონებსა და რუსეთთან 2008 წლის შეთანხმებას ცეცხლის შეწყვეტის შესახებ.

მაგრამ რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტრომ საპასუხოდ განაცხადა, რომ „უსამართლოდ“ მიიჩნევს მცდელობას — „გადაიყვანონ ისრები“ საქართველოსა და ცხინვალის რეგიონს შორის ადმინისტრაციული საზღვრის სადემარკაციო ხაზის გადატანასთან დაკავშირებით, ვინაიდან, რუსეთის საგარეო-პოლიტიკური უწყების თანახმად, სამხრეთი ოსეთი, როგორც „დამოუკიდებელი სახელმწიფო“, ღებულობს ზომებს „თავისი სახელმწიფო საზღვრის მოწყობისთვის“.

### „გავაგრძელოთ დიალოგი“

**საქართველოს პრემიერ-მინისტრის სპეციალურმა წარმომადგენელმა რუსეთთან ურთიერთობის საკითხებში ზურაბ აბაშიძემ რუსეთის მესაზღვრეების მიერ სადემარკაციო სამუშაოების განახლება დაუკავშირა სოჭში ოლიმპიადის დამთავრებას და აღნიშნა, რომ ეს მოქმედებები „ხელს არ უწყობს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობათა ჩიხიდან გამოსვლას“. მით უმეტეს, ხაზგასმით აღნიშნა აბაშიძემ, რომ ადრე რუსეთის მხარემ განაცხადა — სადემარკაციო სამუშაოები დამთავრებულიაო.**

„მოსკოვში ოლიმპიური თამაშების დროს ცდილობდნენ, გვერდი აევლოთ სკანდალისთვის, ოლიმპიადა დამთავრდა და ახლა მათ აღარ მიაჩნიათ საჭიროდ, იზრუნონ საერთაშორისო პრესტიჟისთვის. ალბათ, ახლა აღარაფერი უშლის ხელს იმას, რომ დაარღვიონ ის, რაზეც ადრე ითქვა. ხომ ითქვა, რომ ეგრეთ წოდებული ბორდერიზაციის პროცესი დამთავრებულიაო“, — თქვა თავის კომენტარებში მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისთვის რუსეთთან ურთიერთობების საკითხების სპეციალურმა წარმომადგენელმა.

აბაშიძემ აღნიშნა, რომ, მიუხედავად სირთულეებისა, საქართველო გააგრძელებს დიალოგს რუსეთთან და რომ ამ პროცესში საქართველოს აქვს „სრული მხარდაჭერა“ დასავლელი პარტნიორების მხრიდან.

„გუშინ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ დადებითად შეაფასა ჩვენი მცდელობები (მოვაწესრიგოთ ურთიერთობანი რუსეთთან). ჩვენ გავაგრძელებთ ამ დიალოგს, როგორი რთულიც არ უნდა იყოს“ იგი, — განაცხადა აბაშიძემ და აღნიშნა, რომ განზრახული აქვს, განიხილოს საკითხი სადემარკაციო სამუშაოების განახლების შესახებ რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელის მოადგილესთან გრიგორი კარასინთან მათს მორიგ შეხვედრაზე მარტის დასაწყისში.

შეგახსენებთ, რომ 24 თებერვალს ვაშინგტონში საქართველოს პრემიერის ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტთან და ვიცე-პრეზიდენტთან შეხვედრის შემდეგ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელმა მაია ფანჯიკიძემ ჟურნალისტებს აცნობა, რომ სხვა საკითხებთან ერთად მხარეები შეეხნენ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებს და რომ პრეზიდენტმა ობამამ პოზიტიურად შეაფასა საქართველოს ნაბიჯები რუსეთთან ურთიერთობების ნორმალიზაციასთან დაკავშირებით.

### „კიდევ ერთი დანაშაული“

**საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა ასეთივე კომენტარი გაუკეთა სადემარკაციო სამუშაოების განახლებას საოკუპაციო ხაზის გასწვრივ, რაც, მისი შეფასებით, „აბსოლუტურად აბსურდულია“.**

„ეს არის მოქმედებები, რომლებიც მიზნად ისახავენ კონფლიქტის გართულებას. მავთულხლართები გაჰყავთ მხოლოდ იმისთვის, რომ კონფლიქტი შეინარჩუნონ“, — განაცხადა მარგველაშვილმა 26 თებერვალს.

პრეზიდენტმა მიმართა საერთაშორისო გაერთიანებას მოწოდებით — მხარი დაუჭირონ საქართველოს და გამოვიდეს „აბსოლუტურად უკანონო მოქმედებათა“ მონაცემების წინააღმდეგ, რომლებიც, მისი სიტყვებით, „კიდევ ერთი დანაშაულია“ და „საერთაშორისო უფლებათა ნორმების კიდევ ერთი დარღვევა“ რუსეთის მხრიდან.

Voice of America

## დედამიწის ზურგზე



**უკრაინის შინაგან საქმეთა მინისტრმა განაცხადა სევასტოპოლსა და სიმფეროპოლში რუსეთის ფედერაციის „შეიარაღებული შემოჭრის“ შესახებ**

**არსენ ავაკოვმა განაცხადა, რომ აეროპორტების ტერიტორიებზე არიან ადამიანები, რომლებიც „არ ფარავენ თავიანთ ურთიერთობას რუსეთის ფედერაციის შეიარაღებულ ძალებთან“. მაგრამ მილიციის უწყების ხელმძღვანელი, ფაქტობრივად, გაემიჯნა სიტუაციის გადაწყვეტის ძიებას, განაცხადა, რომ ეს დიპლომატების კომპეტენციააო.**

* * *

**უკრაინის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა ყირიმში ახალი სრულუფლებიანი წარმომადგენელი დანიშნა**

**იგი გახდა უმაღლესი რადის დეპუტატი ფრაქცია „უდარიდან“ სერგეი კუნიცინი. ადრე იგი ორჯერ ედგა სათავეში ყირიმის მინისტრთა საბჭოს, იყო ყირიმის პარლამენტის დეპუტატი, 2010 წელს კი — უკრაინის მეოთხე პრეზიდენტის ვიქტორ იანუკოვიჩის მუდმივი წარმომადგენელი ყირიმში.**

* * *

**ბაიდენმა დაურეკა იაცენიუკს, რომ დაერწმუნებინა იგი უკრაინის ახალი მთავრობის მხარდაჭერის შესახებ ვაშინგტონის მიერ**



**ამერიკის შეერთებული შტატების ვიცეპრეზიდენტი დაპირდა მას, რომ ვაშინგტონი მხარს დაუჭერს უკრაინას იმ რეფორმების განხორციელებაში, რომლებიც აუცილებელია ეკონომიკის გაჯანსაღების, ქვეყანაში მშვიდობისა და თანხმობის მიღწევის, საერთაშორისო ვალდებულებათა შესრულების და იმ გზების ძიებისთვის, რომლებიც ღია იქნება კონსტრუქციული ურთიერთობებისთვის მეზობლებთან.**

* * *

**გაეროს გენერალურმა მდივანმა საერთაშორისო გაერთიანებაზე სამარცხვინო დაღი უწოდა გაეროს ჩავარდნას სირიაში**

**„ჩვენი კოლექტიური უუნარობა, თავიდან ავიცილოთ მხეცობა სირიაში სამი წლის განმავლობაში, არის სამარცხვინო ბრალდება საერთაშორისო გაერთიანების მისამართით“, — მიუთითა პან გი მუნმა. მთავრობისა და ოპოზიციის დაპირისპირების მსხვერპლთა რიცხვი, რაც გრძელდება 2011 წლიდან, იზრდება.**



ნამდვილი ამბავი

# პალტო რატომ იყო მშრალი?

დაბოღმილი მოდიოდა დათო სამსახურიდან. სწორედ ერთი თვის წინათ იყო, დირექტორმა რომ ერთ-ერთ თათბირზე საყვედურით განაცხადა: აქ ჩვენ მხოლოდ ყოველდღიური საქმეები კი არ უნდა გავკეთოთ — გავატაროთ რეგისტრაციაში შემოსული განცხადებები, მივიღოთ მომსვლელები, ველაპარაკოთ ჩვენი სამსახურის ამოცანებსა თუ მათი გზავნილების რეაგირების მიმდინარეობაზე. საჭიროა მეტი ინიციატივა, მეტი ერთგულება ჩვენდამი მონდობილი საქმისადმი. ეს ერთი ადგილის ტკეპნაა. ხომ ხედავთ, სხვა კომპანიებში ფართოვდებიან, ვითარდებიან, ეძებენ და კონტაქტებს ამყარებენ ახალ კლიენტებთან. ასე საქმე წინ ვერ წავა, სხვები გადაგვივლიან თავზე, დავრჩებით ხახამშრალები და პანღურამორტყმულები.

დათო დააფიქრა დირექტორის ამ სიტყვებმა. მართლა დუნედ მიდიოდა საქმე სამსახურში — ერთფეროვნად, უინიციატივოდ და, რასაკვირველია, უპერსპექტივოდაც. ერთ მშვენიერ დღეს კომპანია შეიძლება დაიხუროს და არ გინდა ამ უმუშევრობის ჩიხში შესულ ქვეყანაში ახალი სამსახურის შოვნა?—

საღამოზე, როდესაც დასაძინებლად დაწვა, თავისი უნივერსიტეტელი მეგობარი გაახსენდა, ვახტანგი, სადღაც აფრიკის რომელიღაც მივარდნილ ქვეყანაში რომ მუშაობდა და საკმაოდ ხშირი კონტაქტებიც ჰქონდა დათოსთან. გაახსენდა ისიც, რომ ერთხელ ვახტანგმა დაიჩივლა, იმდენი ფული და საშუალება აქვს ჩვენს კორპორაციას, ვერსად დაუბანდებიაო: ან ჩვენს უფროსობას არ მოსწონს რომელიმე ქვეყანა, ან ჩვენთან არ უნდა კონტაქტების დამყარებაო და ასე შემდეგ. ისიც არ უკითხავს მაშინ დათოს ვახტანგისთვის, რას აკეთებს კონკრეტულად შენი სამსახური, რას აფინანსებს, რას ნიშნავს ბევრი ფული და საშუალებები თქვენთვისო.

ახლა კი რაღაც იდეა ამოუტივტივდა ტვინში. რა იქნება, რომ გამოიხედოს ამ აფრიკული ქვეყნის კორპორაციამ ჩვენსკენ. მე გეტყვი და, ჩვენში ყველაფერი საათივითაა აწყობილი...

აეკვიატა ეს იდეები დათოს და ველარ მოისვენა, შეხედა საათს — დაახლოებით სწორედ ასეთ დროს ელაპარაკებიან ხოლმე ერთმანეთს ის და ვახტანგი.

ადგა, აიღო ტელეფონი და დაურეკა.

დიდხანს ისაუბრეს, ერთმანეთის მოკითხვა რომ დაამთავრეს, დათომ თავისი კორპორაციის დაფინანსებაზე ჩამოუგდო საუბარი. რა თქმა უნდა, სასხვათაშორისოდ, არც თუ დიდი იმედებით აღსავსემ.

— თქვენთან რა უნდა გაკეთდეს, არავის არაფერი არ ადარდებს, არც საინვესტიციო კლიმატია ხელსაყრელი, არც სანდო გარემო და ხელმძღვანელობაა სათანადო...

ამ საუბრიდან დიდი ვერაფერი სახეირო გამოიტანა დათომ და იუმედოდ ჩაიქნია ხელი.

მაგრამ ერთი კვირის შემდეგ, როდესაც ვახტანგმა თვითონ დაურეკა და ამავე თემაზე დაუწყო საუბარი, ლამის მოგვარებულად ჩათვალა საქმე. თანაც დაავალა, უფრო დაეკონკრეტებინა რომელიმე დარგის თუ მიმართულების დეტალები, პირობები, პიროვნებები, ვისთანაც შეიძლებოდა ამ თემაზე საუბარი.

თანდათანობით, ამ საუბრების კვალობაზე, დათო უკეთ გაერკვა ვითარებაში, ვახტანგიც თითქოს დაარწმუნა მომავალ თუ დიდ წარმატებაში არა, არც დიდ და მოულოდნელ ზარალში... თანაც ვახტანგსაც დიდი ბრძოლების გადატანა მოუხდა, რომ თავისი უფროსები გადმოებირებინა...

და სწორედ დღეს იყო, რომ დათო შევიდა თავის უფროსთან და პირველად დაუწყო ამ თემაზე საუბარი, უთხრა ისიც, რომ კომპანია მზადაა დააბანდოს ინვესტიციები ჩვენს საქმიანობაში.

— სადაო, სადაო? რომელი ქვეყანა თქვი? — უგულოდ და აგდებულად შეეკითხა უფროსი.

დათომ ხელმეორედ აუხსნა ყველაფერი, რაც შეეძლო და რაც იცოდა.

— ე-ე-ე, ძმაო, ეგრე ადვილი რომ იყოს ბიზნესის მოწესრიგება, ქვეყანა ასეთ დღეში კი არ იქნებოდა. მეტი ყურადღებაა საჭირო ამ საქმეში. მე შენ უფრო ჭკვიანი და დაკვირვებული მეგონე. ასე არვარგა, ჩემო კარგო, არ ვარგა. ზედაპირული მიდგომა საქმეს კი არ ადგება, ღუპავს კიდეც.

გარეთ გვარიანად ციოდა, მაგრამ არ უნდოდა ტრანსპორტით წასვლა სახლში. იმდენი ფიქრები აეშალა, ერჩივნა უფრო შორი გზით წასულიყო, თან ფიქრებიც ვერ დაელაგებინა. პალტო შემოიჭირა და მტკვრის სანაპიროსკენ დაეშვა. მის გაღმა ცხოვრობდა.

რაღაც ყვირილმა და ჩოჩქოლმა გამოიყვანა მდგომარეობიდან. ხალხი მდინარის სანაპიროსკენ გარბოდა. გაიხედა თავადაც მათი მიმართულებით.

ხიდის მოაჯირზე ვიღაცა ავიდა და მდინარეში გადაეშვა.

„ამ ყინვაში ბანაობა ვის გაუგონია?!“ — ღიმილი გაუჩნდა დათოს სახეზე.

მაგრამ ხალხმა კივილს უმატა, მობანავე კი ისე საცოდავად აფართხალდა, აშკარა იყო, ცურვა არ იცოდა.

— იხრჩობა, იხრჩობა!

— უშველეთ, ადამიანი იხრჩობა.

— ხალხი არა ხართ?!

„მობანავე“ მორევმა ჩაითრია, კარგა ხანს აღარ ჩანდა.

დათოს უკვე აღარაფერი ესმის. გაქანდა ისიც ხიდისკენ, გზად პალტო გაიძრო, სადღაც მოისროლა და მდინარეში ტანსაცმლიანად გადაეშვა.

როცა ზედაპირზე ამოვიდა, „მობანავეს“ ვერ მოჰკრა თვალი. მიხვდა ის მორევის სიღრმეში იყო. ჩაყვინთა. დიდხანს არ გამოჩენილა.

როდის-როდის, გამოჩნდა ზედაპირზე, თან ის განწირულიც მოჰყავდა ცალხელჩაკიდებული. „მობანავეს“ დათო წყალში ჩავარდნილი ხის ტოტივით მოათრევდა.

ახლო ნაპირისკენ წამოვიდა. ხალხი მიაწყდა იმ ნაპირს, მაგრამ კედელი ისე მაღალი იყო, ვერაფრით შველოდა დათოს, რომ დამხრჩვალი ამოეყვანათ.

დიდხანს იწვალა, ვერც ხელი ჩაავლო სადმე პიტალო კედელს, ვერც ფეხი მოიკიდა.

— გაღმა გაიყვანე, გაღმა, — დაიძახა ვიღაცამ.

— იქ აქვს ნაპირი და ამოსვლაც შეიძლება, — გაიგონა ვიღაცის ხმა.

კი გაიგონა, მაგრამ არ გინდა გადაცურო ამხელა მდინარე, თანაც ადიდებული, თანაც ძალღონემიხდილმა, ტანთგაუხდელმა?!

სხვა საშუალება არ იყო.

ის ახსოვს მხოლოდ, რომ მცირერიყიან ნაპირზე დადგა ფეხი, დამხრჩვალი მშრალ ნაპირზე დააგდო და...

თავადაც უგონოდ დაეცა მის გვერდით...

— ეს რა მოგივიდა, სად დასველდი ასე საშინლად, თან პალტო რომ მშრალია?

— ბავშვები თამაშობდნენ წყლის ონკანთან და მეც შემომასხეს, — მეტი არაფერი უთქვამს დათოს თავისიანებისათვის.

არც ვინმესთვის საერთოდ.

ეს ამბავი ნამდვილად მოხდა თბილისში, ზამთრის ცივ თვეში.

და გასაოცარი ის იყო, რომ ჭორებსა და მითქმამოთქმებს გადაყოლილ პრესას თუ ტელევიზიას არაფერი დასცდენია ამის შესახებ.

არ იყო დათო პატივმოყვარე, არც სახელს გამოდევნებული, რომ ვინმესთვის ეამბნა ეს ისტორია. ისიც კი არ იცოდა თავად, ქალი გადაარჩინა მაშინ თუ კაცი, მოხუცი თუ ახალგაზრდა.

იმაზე კი წყდება გული, რომ ამ თავგადასავლის დროს დაკარგა მეგობრის მიერ ნაჩუქარი ძვირფასი მობილური ტელეფონი.

აი, ახლაც სამი თვის შემდეგ იმ ამბიდან, დათო მიდის სახლში იმავე გზით, მაგრამ გასაოცარი ის იყო, რომ არც კი იყურება მტკვრისკენ, არც ახსენდება ის თავისი თავგადასავალი.

ასეთ კარგ ხასიათზე კი კარგა ხანია არ ყოფილა.

დღეს სამსახურის დამთავრების შემდეგ უფროსმა დაიბარა.

— დათო, უნდა მაპატიო, შვილო. არ ვიყავი შენთან მართალი, — უთხრა მან. — ჩვენ შევისწავლეთ კორპორაცია — დიდებული და სახელგანთქმული ყოფილა იგი, თანაც მთელ მსოფლიოში. ჩვენ ყველაფერზე თანახმა ვართ და დიდად დავალებულიც ვიქნებით. შენზეა ახლა საქმე.

დათოსთვის ეს პრობლემას აღარ წარმოადგენდა.

— ბატონო დათო, შეიძლება ერთი წუთით.

მის წინ მაღალი, ტანკენარი, მაყვალთვალება და ულამაზესი გოგონა იდგა.

— გისმენთ, რა გნებავთ? — ძლივს ამოღერღა ჭაბუკმა.

— იცით, რა, ბატონო დათო, კი მრცხვენია ამის თქმა, მაგრამ... მაგრამ... მე თქვენ ძალიან მიყვარხართ... — და გოგონას სახე ვარდისფრად შეეფაკლა.

— ვინა ხართ, გოგონა? ვერ გიცანით.

— მე ისა ვარ, ვინც თქვენ აქ, ამ მორევში გადაარჩინეთ. როდესაც მე გონს მოვედი და მითხრეს იმან გადაგარჩინაო, თქვენ უკვე უგონოდ იყავით...

**ზურაბ ლომიძე**

## ინდივიდუალური კონსულტანტის შერჩევა გარემოზე ზემოქმედების შეფასების მომზადებისთვის გურჯაანი-ბაკურციხის შემოვლითი გზის მშენებლობისთვის

საქართველომ მიიღო სესხი რეკონსტრუქციის და განვითარების საერთაშორისო ბანკისგან (IBRD) კახეთის რეგიონული გზების გაუმჯობესების პროექტისთვის (სესხი №7802-GE) და გეგმავს ინდივიდუალური კონსულტანტის დაქირავებას საკონსულტაციო მომსახურებისათვის - გარემოზე ზემოქმედების შეფასების მომზადება გურჯაანი-ბაკურციხის შემოვლითი გზის მშენებლობისთვის.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტი იწვევს ინდივიდუალურ კონსულტანტებს ზემოთ მოცემული მომსახურების შესასრულებლად. დაინტერესებულმა კონსულტანტებმა უნდა წარმოადგინონ ინფორმაცია, რომელიც დაადასტურებს მათ კვალიფიკაციას მოცემული მომსახურების შესასრულებლად (შესრულებული ანალოგიური პროექტების აღწერა, გამოცდილება გზის მონაკვეთებისთვის გარემოზე ზემოქმედების შეფასების მომზადებში და ა.შ.)

ინდივიდუალური კონსულტანტის შერჩევა მოხდება მსოფლიო ბანკის ინსტრუქციების (2004 წლის გამოცემა, განახლებული 2011 წლის იანვარში) V ნაწილით - „ინდივიდუალური კონსულტანტების შერჩევა - მსოფლიო ბანკის სესხის ამღების მიერ კონსულტანტების შერჩევა და დაქირავება" - განსაზღვრული პროცედურების შესაბამისად.

აღნიშნული საკონსულტაციო მომსახურების გრაფიკი – კონტრაქტის დაწყება: მარტი, 2014 – კონტრაქტის დასრულება: მაისი, 2014.

ინტერესის გამოხატვა, CV-სთან და შესაბამის დოკუმენტაციასთან ერთად უნდა გამოაგზავნოთ ფაქსით, ელექტრონული ფოსტით ან მოიტანოთ ქვემოთ მითითებულ მისამართზე არაუგვიანეს **2014 წლის 14 მარტის 17:00 საათისა.**

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი
ქ. თბილისი, 0160, ალ. ყაზბეგის 12, IV სართული,
საერთაშორისო პროექტების სამმართველო
*საკონტაქტო ინფორმაცია:*
ტელ: +995 32 37-05-08 შიდა. 348
ფაქსი: +995 32 31-30-34
ელ-ფოსტა; info@georoad.ge

## Selection of Individual Consultant for Preparation of Environmental Impact Assessment for Construction of Gurjaani-Bakurtsikhe Bypass Road

Georgia has received a loan from the International Bank for Reconstruction and Development (IBRD) towards the cost of Kakheti Regional Roads Improvement Project (Loan No.:7802-GE) and intends to hire the services of an individual consultant for Preparation of Environmental Impact for Construction of Gurjaani-Bakurtsikhe Bypass Road.

The Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia (RDMRDI) now invites eligible individual consultants to express their interest in providing the above-mentioned services. Interested individuals must provide information indicating that they are qualified to perform the services (description of similar assignments, experience in preparation of environmental impact assessments for road sections, etc).

An individual consultant will be selected in accordance with the procedures set out in Section V: "Selection of Individual Consultants" of the World Bank's Guidelines: Selection and Employment of Consultants by World Bank Borrowers (May 2004 edition, revised January 2011).

Schedule of Consultancy Services - Contract start: March, 2014 - Contract finish: May, 2014.

Expressions of interest accompanied by completed CVs and other relevant information should be faxed, e-mailed or delivered to the address below not later than **March 14, 2014, 17:00**

The interested consultants may obtain any additional information at the following address:

Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure
Foreign Projects Unit (4th floor)
12 Al. Kazbegi Ave. Tbilisi, Georgia, 0160
Tel: +995 32 37-05-08 Ext. 348
Fax: +995 32 31-30-34 E-mail: info@georoad.ge

## კალათბურთი

# მეორე ფრონტი ხვალ გაიხსნება



**ეროვნული თასის გათამაშების პირველ ნახევარფინალურ რაუნდში იშვიათი დამთხვევა მოხდა — ორივე შეხვედრა ერთნაირი შედეგით დასრულდა: „სოხუმი“ — „დინამო“ 70:64, „ქუთაისი“ — „არმია“ 70:64. ამჯერად ყურადღებას პირველ წყვილზე შევაჩერებთ და, აი, რატომ.**

მოგეხსენებათ, ზღვისპირელებს უკვე ექვსი თვეა თეთრი არ აუღიათ, რის გამოც გუნდი როჯერსმა და ივანიჩმა დატოვეს. ვიმედოვნებთ, დევნილთა კლუბის პრეზიდენტი მინდია გულუა, როგორც აქამდეც არაერთხელ მომხდარა, ბიჭებთან ამ შემთხვევაშიც გაასწორებს ანგარიშებს, თუმცა, ვიდრე ეს დღე გათენდება, ვაჟა კვარაცხელიას შეგირდთა თავდადებულ თამაშს სპორტული გმირობა შეიძლება ვუწოდოთ.

ობიექტურობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ სუპერლიგის ერთპიროვნულ ლიდერს ლეჟავა აკლდა, მაგრამ „თეთრ-ლურჯები“ მაინც ფავორიტებად მიიჩნეოდნენ — სხვას რომ თავი დავანებოთ, მილოშევიჩსა და კარტერს პარტნიორებისთვის ფარქვეშ ბრძოლაში გადამწყვეტი უპირატესობა უნდა მოეპოვებინათ. დაუმატეთ ამას გამყრელიძის ფაქტორი, თუმცა, ჩლაიძის, ქადარიას, ბააკაშვილის, ბექაურისა და შვანგირაძის ჩაგდებულმა სამქულიანებმა ორმატჩიან დუელს ინტრიგა შეუნარჩუნა.



დღეს საპასუხო ნახევარფინალები ვაკის ბავშვთა საკალათბურთო აკადემიის დარბაზში 15 და 17 საათზე დაიწყება.

**ვიტალი ჯაფარიძე**

## ხელბურთი

# „მამული“: მინუს ცხრიდან პლუს ერთამდე

**საქართველოს ჭაბუკთა ჩემპიონატის საგაზაფხულო ეტაპზე პირველად დამარცხდა გორის ხელბურთელთა გუნდი, ხოლო ფოთელებმა პირველი გამარჯვება მოიპოვეს.**

გორელები თამაშის დასაწყისში 9 ბურთით — 11:2 უგებდნენ თბილისის „მამულს“, თუმცა, ტრავმის გამო გამოაკლდათ ერთ-ერთი ლიდერი ტარიელ მჭედლიშვილი. „მამულმა“ სხვაობის შემცირება დაიწყო, მაგრამ ტაიმი „გორმა“ მოიგო 17:13 და 3-4 ბურთიან უპირატესობას კიდევ კარგა ხანს ინარჩუნებდა.

თამაშის დასრულებამდე 10 წუთით ადრე „მამულმა“ ანგარიში გაათანაბრა — 23:23, ხოლო შემდეგ დაწინაურდა და მოიგო კიდეც — 28:27. გამარჯვებულთა შორის 10-10 გოლი გაიტანეს გიორგი შევჩენკომ და თამაზ კორაშვილმა. „მამული“ და „გორი“ 3-3 თამაშის შემდეგ 4-4 ქულით თანაბრად არიან.

ფოთის გუნდმა 34:24 დაამარცხა „ყვარელი“, რომელმაც 4 მოგებით დაასრულა პირველი ტური.



ხვალ პირველი ხუთეული თამაშებს დაასრულებს, ხოლო ორშაბათიდან საქმეში დანარჩენი 5 გუნდი ჩაებმება.

**ბეჟან დოლიძე**

## ჩოგბურთი



# ტრავმა აკაპულკოში

**მექსიკის საკურორტო ქალაქ აკაპულკოში მიმდინარე ტურნირის ნახევარფინალში გასვლა 31 წლის ესპანელმა დავიდ ფერერმა ტრავმის გამო ვერ შეძლო. ფერერმა სამხრეთაფრიკელ კევინ ანდერსონს პირველი სეტი 6:2 მოუგო, მეორე პარტიის დასრულება კი ჯანმრთელობის პრობლემების გამო ვერ მოახერხა. მატჩის შეწყვეტის მომენტში 4:2 წინ ანდერსონი იყო.**

ფინალში გასასვლელად კევინ ანდერსონი უკრაინელ ოლექსანდრ დოლგოპოლოვს შეხვდება, რომელმაც მეოთხედფინალში 2 სეტით ხორვატ ივო კარლოვიჩს სძლია.

დოლგოპოლოვს ზედიზედ მეორე ტურნირის ფინალში გასვლის შანს აქვს. წინა კვირაში უკრაინელმა რიო დე ჟანეიროს შეჯიბრების დასკვნით მატჩში ითამაშა და რაფა ნადალთან 3:6, 6:7 დამარცხდა.

**მანუჩარ გიორგაძე**

## ინტერნეტიდან

# შერინგემმა ცოლს უღალატა?

**მტერსა და ავს, ბრიტანეთიდან ისეთი ამბავი მოვიდა... ვეტერანი ინგლისელი ფეხბურთელის ტედი შერინგემის ცხოვრებაში დიდი ამბები მომხდარა და ეს მაშინ, როდესაც ყველას ეგონა, რომ ეს ჩვენი ტედი მშვიდი და ვეტერანის წყნარი ცხოვრებით ცხოვრობდა.**

ტედი შერინგემის მეუღლე კრისტენ შერინგემი ამბობს, რომ შესანიშნავად უწყის მისი ქმრის საყვარლის ვინაობა, მაგრამ ქართულ ვარიანტში რომ ვთქვათ: “ოჯახის დანგრევა არ სურს“ და იმედი აქვს, რომ როცა იქნება, შერინგემი გონს მოეგება და უშნოდ წანწალს თავს დაანებებს.

როგორც ინგლისელი ჟურნალისტები ვარაუდობენ, შესაძლებელია საუბარი იყოს ბრიტანელ მოდელზე ემილია ლიერზე, რომელიც მავანთა და მავანთ ტედისთან ერთად დაუნახავთ. თუმცა, თავად ფეხბურთელი ამ თემაზე არაფერს ამბობს და საკუთარი ცოლის ბრალდებაზეც კი არ გაუკეთებია კომენტარი.

**როსტომ რაჭველიშვილი**



## ფეხბურთი

# ევროპის ლიგაში 1/8-ფინალისტები დაწყვილდნენ

**ევროპის ლიგის საპასუხო 1/16-ფინალური შეხვედრები საკმაოდ უხვგოლიანი გამოდგა. უეფას ჩემპიონთა ლიგის დღეების შემდეგ ფეხბურთის გულშემატკივარს არც ამჯერად მოუწყენია.**

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია სოფიასა და ფრანკფურტში გამართული მატჩები, სადაც გულშემატკივრებმა ნამდვილი საფეხბურთო თრილერები იხილეს. „ლუდოგორეცს“ რომის „ლაციოსთან“ საგარეო მატჩი მინიმალური ანგარიშით ჰქონდა მოგებული, მაგრამ ბულგარეთში მშვიდად ყოფნის საშუალება მაინც არ ჰქონია. მით უმეტეს, რომ რომაელთა შემტევმა ბალდე კეიტამ პირველსავე წუთზე გახსნა ანგარიში და მასპინძლებს უპირატესობა დააკარგვინა. 54-ე წუთზე მეკარის საჯარიმოში აღმოჩენილმა ბრაიან პერეამ სტუმართა უპირატესობა ორ ბურთამდე გაზარდა და მომდევნო ეტაპზე გასვლის კარგი შანსიც გაუჩინა.



დაახლოებით 10-წუთიან მონაკვეთში მასპინძლებმა ანგარიშის გათანაბრება შეძლეს და 1/8-ფინალის იმედიც დაიბრუნეს. 82-ე წუთზე საჯარიმოში დასწრებაზე მოთამაშე მიროსლავ კლოზემ რომაელები კიდევ ერთხელ დააწინაურა, მაგრამ საფინალო სასტვენამდე ბულგარელებმა წონასწორობის აღდგენა კიდევ ერთხელ შეძლეს და მომდევნო ეტაპზეც გავიდნენ — 3:3.

ანალოგიური ანგარიში დაფიქსირდა ფრანკფურტშიც, სადაც ადგილობრივმა „აინტრახტმა“ „პორტუს“ უმასპინძლა. პირველი მატჩის მსგავსად კლუბებმა გერმანიაშიც შედეგიანი ფრე ითამაშეს, მაგრამ სტუმრად გატანილი მეტი ბურთის წყალობით მომდევნო ეტაპზე პორტუგალიელები გავიდნენ.



მართალია, „დნიპრომ“ ლონდონის „ტოტენჰემთან“ პირველ მატჩში სენსაციურად იმარჯვა, მაგრამ ლონდონში მარცხს ვერ გადაურჩა. არადა, უკრაინელებმა „უაით ჰართ ლეინზეც“ კარგად დაიწყეს თამაში და 48-ე წუთზე გატანილი ბურთით იგებდნენ კიდეც. მატჩის დასკვნით ნაწილში ლონდონელები გააქტიურდნენ - კრისტიან ერიქსენის გოლითა და ემანუელ ადებაიორის დუბლის წყალობით ჯაბა კანკავას გუნდი 3:1 დაამარცხეს.

უგოლო პირველი მატჩის შემდეგ „ნაპოლიმ“ „სუონსის“ 3:1 სძლია. იტალიელები მე-17 წუთზე ლორენცო ინსინიემ დააწინაურა, მაგრამ უელსელებმა ანგარიში მალევე გაათანაბრეს. 78-ე წუთზე ნეაპოლელთა მეგოლე გონსალო იგუაინი მეტოქის საჯარიმოში არსებულ სიტუაციაში კარგად გაერკვა და თავისი გუნდი წინ გაიყვანა, ხოლო მსაჯის მიერ კომპენსირებულ დროში უელსელებს კიდევ ერთი ბურთი გეკჰან ინლერმა დაუმატა და „ნაპოლის“ დამაჯერებელი ანგარიშით მოაგებინა.

მოგეხსენებათ, უკრაინის ცნობილი მოვლენების გამო კიევის „დინამომ“ „ვალენსიასთან“ პირველი მატჩი ნიქოზიაში ჩაატარა და 0:2 წააგო. ხუთშაბათს უკრაინელები „მესტალიაზე“ ჩავიდნენ და როგორც მოსალოდნელი იყო, 1/8-ფინალში თამაშის უფლება ვერ მოიპოვეს. მიუხედავად ამისა, უნდა ითქვას, რომ სტუმრებმა იბრძოლეს და „ღამურებს“ გამარჯვების საშუალება არ მისცეს — 0:0.

დავძენთ, რომ ტურნირს ოთხივე უკრაინული კლუბი გამოეთიშა. ეტყობა, რევოლუცია სპორტულ მსხვერპლსაც მოითხოვს.

### 1/16-ფინალები

ალკმაარი — ლიბერეცი 1:1 (პირველი მატჩი — 1:0), გენკი — ანჟი 0:2 (0:0), ლუდოგორეცი — ლაციო 3:3 (1:0), ვალენსია — დინამო (კიევი) 0:0 (2:0), აინტრახტი — პორტუ 3:3 (2:2), ნაპოლი — სუონსი 3:1 (0:0), ლიონი— ჩერნომორეცი 1:0 (0:0), შახტარი — პლზენი 1:2 (1:1), სევილია — მარიბორი 2:1 (2:2), რუბინი — ბეტისი 0:2 (1:1), ტოტენჰემი — დნიპრო 3:1 (0:1), ბენფიკა — პაოკი 3:0 (1:0), ბაზელი — მაკაბი 3:0 (0:0), ზალცბურგი — აიაქსი 3:1 (3:0), ტრაბზონსფორი — იუვენტუსი 0:2 (0:2), ფიორენტინა —ესბიერგი 1:1 (3:1).

### 1/8-ფინალები

ალკმაარი — ანჟი, ლუდოგორეცი — ვალენსია, პორტუ — ნაპოლი, ლიონი — პლზენი, სევილია -— ბეტისი, ტოტენჰემი — ბენფიკა, ბაზელი — ზალცბურგი, იუვენტუსი — ფიორენტინა.

**ევროპის ლიგის 1/8-ფინალური მატჩები 13 და 20 მარტს ჩატარდება.**

**გიორგი შოთაძე**

◎ დავა

# მამუკა ხაზარაძე: „თიბისი ბანკმა“ სიცრუისა და სიყალბის წინააღმდეგ კამპანია დაიწყო



**„თიბისი ბანკმა“ სიცრუისა და სიყალბის წინააღმდეგ კამპანია დაიწყო. როგორც „თიბისი ბანკის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ მამუკა ხაზარაძემ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, ადგილი აქვს შეურაცხმყოფელ კამპანიას პირადად მისი და ბანკის მიმართ.**

— ჩემთვის და ჩემი ბანკისთვის მიუღებელია ფორმა, როდესაც არა შინაარსობრივი და არა კონკრეტულ ფაქტებზე დაყრდნობილი მსჯელობა მიდის, არამედ მიდის შეურაცხყოფა, ცილისწამება, უაპელაციო ბრალდება. კატეგორიული წინააღმდეგი ვარ იმ ტონისა და შეურაცხყოფისა, რომლითაც მე მომმართავენ. მე ამას ვერ მივიღებ. ეს სცილდება ჩემს ბიზნესს. ეს ეხება ჩემს ღირსებას. მინდა გითხრათ, რომ ჩემი და ჩემი ორგანიზაციის ღირსება ყველაზე მაღალ დონეზე მყავს დაყენებული. მინდა, ყველას მივმართო, ვისაც ასეთი ჩანაფიქრი აქვს, ამ ტონით ნუ დაგველაპარაკება, — განაცხადა ხაზარაძემ და აქვე აღნიშნა, რომ ამ ყველაფრის წინააღმდეგ ყველანაირ სამართლებრივ და ცივილურ ხერხს გამოიყენებს.

ხაზარაძემ ორ კომპანიაზე — „გუდვილზე“ და „ელიტ ელექტრონიქსზე“ ისაუბრა.

მისი ინფორმაციით, 2003 წლიდან 2013 წლამდე, ბანკმა ჯამში „გუდვილს“ 80 მილიონი ლარი მისცა.

— 2013 წელს ირკვევა, რომ „გუდვილს“ პრობლემები აქვს. მიუხედავად იმისა, რომ კომპანია სერიოზულ პრობლემებშია, „თიბისი ბანკი“ აკეთებს სამ სერიოზულ ნაბიჯს: უზრდის საბრუნავ სახსრებს, რომ კომპანია არ გაჩერდეს; უჩერებს პროცენტის გადახდას და 80% მთლიანი თანხისა გადააქვს ქონებაში დავალიანების შემცირების გამო, იმ პირობით, რომ დამფუძნებელს და კომპანიას მისი დაბრუნება შეუძლია თავის მფლობელობაში, — განაცხადა ხაზარაძემ.

მისივე თქმით, მას პრეტენზია არ აქვთ „გუდვილის“ თანამშრომლებთან, პრეტენზია აქვთ მენეჯმენტთან და მის დამფუძნებლებთან.

— ეტყობა, ზედმეტი ნდობა გამოიჩინა ბანკმა. ვენდობოდით მათ მიერ წარმოდგენილ აუდიტორულ დასკვნებს. მოხდა მარტივი რაღაც, 2013 წელს, როდესაც ჩვენ შევამჩნიეთ, რომ სერიოზული კრიზისია, უკვე ვხვდებით, რომ გამოსავალი არ აქვს „გუდვილს“. ამ დროს მოდის ჩემთან მისი დამფუძნებელი და აცხადებს, რომ 2 წლის განმავლობაში ისინი „თიბისი ბანკს“ გაყალბებულ დოკუმენტაციას აწვდიდნენ, — განაცხადა ხაზარაძემ.

მისი თქმით, „გაბითურებას და მოტყუებას არავის აპატიებს“. „ჩვენ ვერავის ვერ გავატანთ ყალთბანდური გზით იმ თანხას, რომელსაც ჩვენ გავცემთ“, — განაცხადა ხაზარაძემ.

რაც შეეხება „ელიტ ელექტრონიქსთან“ დაკავშირებით ანზორ ქოქოლაძის ბრალდებებს, როგორც ხაზარაძემ აღნიშნა, საქმე აქაც სერიოზულ გაყალბებებს და ფინანსურ მაქინაციებს უკავშირდება.

— 2005 წელს „თიბისი ბანკმა“ დაიწყო „ელიტ ელექტრონიქსის“ დაფინანსება. 2009 წელს ოთხმა წამყვანმა ქართულმა ბანკმა გააგრძელა მისი დაფინანსება. ვერც ერთ განცხადებაში და სტატიაში ვერ ნახავთ სხვა ბანკების ხსენებას, სულ არის „თიბისი ბანკის“ ლანძღვა ქოქოლაძის მიერ, — აღნიშნა ხაზარაძემ.

მისი თქმით, 2009 წელს დაიწყეს კომპანიის რეაბილიტაციის რეჟიმი, ხოლო 2010 წელს მოხდა ქოქოლაძის გადაყენება დირექტორობიდან.

როგორც ხაზარაძემ აღნიშნა, ამ გადაყენებას წინ უძღოდა მისი შეხვედრა ქოქოლაძესთან, სადაც უთხრა, რომ აქციები, რომელიც დროებით გადასული იყო „თიბისი ბანკის“ მფლობელობაში, ნებისმიერ დროს დაუბრუნდებოდა უკან, თუ მოხდებოდა თანხის გადახდა.

„ეს იყო ერთი პირობით, მე მას შევთავაზე გადამდგარიყო დირექტორობიდან, რამეთუ ჩვენ ეჭვი გვეპარებოდა, რომ კომპანიაში მისი ხელმოწერებით ხდებოდა არასწორი მართვა“, — განაცხადა ხაზარაძემ.

მისი თქმით, ამ შემთხვევაში, მისი მოთხოვნა არ იქნება მხოლოდ ცილისწამების შეჩერებაზე, არამედ — პასუხისგებაზე ფინანსური დარღვევების მიმართ.

მისი თქმით, თუ მათ წინააღმდეგ იქნება ცილისმწამებლური და შეურაცხმყოფელი კამპანია, აქვთ ყველანაირი რესურსი და ჰყავთ კვალიფიციური ადვოკატები, რომლებიც შესაბამის ნაბიჯებს გადადგამენ.

— მე და ჩემი პარტნიორები ვაკეთებთ საერთაშორისო ბიზნესს. ყველა ბიზნესი, რომელიც „თიბისი ჯგუფშია“, არის საერთაშორისო ნიშნით შექმნილი. თითქმის არ არსებობს კომპანია, სადაც ჩვენ უცხოელი, რეპუტაციული ინვესტორი არ გვყავდეს. ამიტომ, ჩვენ ვერავის ვერ ვაპატიებთ. ეს არის სერიოზული თემა, რომელიც ეხება მთლიანად ქართული ბიზნესის რეპუტაციას. ჩვენ ვართ ერთ-ერთი წარმატებული ხმა ქართულ ბიზნესში და არავის არ მივცემთ უფლებას, ჩვენმა პარტნიორებმა თუნდაც ირიბად მაინც დასვან კითხვა — რა არის ეს არის? რატომ გაყენებენ შეურაცხყოფას, — განაცხადა ხაზარაძემ.

**თბილისის დამოუკიდებელი სასწავლო უნივერსიტეტის, თბილისის ტურიზმის აკადემიის თანამშრომლები, პროფესორ-მასწავლებლები, სტუდენტები და ასოციაცია „მესხეთი-2001“-ის პრეზიდიუმის წევრები გულწრფელ თანაგრძნობას უცხადებენ რექტორს, პროფესორს, ასოციაციის პრეზიდენტს ამირან მექვაბიშვილს ძვირფასი მეუღლის**

**ლიანა ოზბეთელაშვილის**

**გარდაცვალების გამო.**

**გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია თანაუგრძნობს ბატონ ამირან მექვაბიშვილს ძვირფასი მეუღლის**

**ლიანა ოზბეთელაშვილის**

**გარდაცვალების გამო.**

**ზურაბ ლომიძე გულწრფელად თანაუგრძნობს ამირან მექვაბიშვილს მეუღლის**

**ლიანას**

**გარდაცვალების გამო.**



**შპს „ლაბორატორია“ ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ყველასათვის ახლობელი, თბილი, კეთილი ადამიანი, თავისი საქმის მაღალი დონის სპეციალისტი**

**ბესიკ ყაჭიური**

**იგი ძალიან დააკლდება საზოგადოებას, როგორც კოლეგა, მეგობარი და პროფესიონალი თანამშრომელი.**

# წელს აივ-ინფიცირების 92 ახალი შემთხვევა გამოვლინდა

**აივ-ინფიცირებულთა სტატისტიკა გასულ წელთან შედარებით გაზრდილია. როგორც „ინტერპრესნიუსს“ შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის ცენტრიდან აცნობეს, მიმდინარე წლის იანვრის დასაწყისიდან დღემდე აღრიცხულია 92 ახალი შემთხვევა.**

შარშან შესაბამის პერიოდში გამოვლინდა 69 ახალი შემთხვევა. დაავადების ზრდის ტენდენციის მიუხედავად, საქართველოში შიდსის ახალი შემთხვევების მაჩვენებელი მნიშვნელოვნად ნაკლებია ყოფილი საბჭოთა ქვეყნების ანალოგიურ საშუალო მაჩვენებლებთან შედარებით.

საქართველოში 1989 წლიდან დღემდე რეგისტრირებულია შიდსის ვირუსით ინფიცირების 4223 შემთხვევა. მათ შორის 3095 მამაკაცია, 1128 ქალი. პაციენტთა უმრავლესობა 29-დან 39 წლამდეა. შიდსი 2651 პაციენტს განუვითარდა, 916 გარდაიცვალა.

ანტი-რეტრო-ვირუსულ **(არვ)** მკურნალობაზე უნივერსალური ხელმისაწვდომობა დადებითად აისახა დაავადების დინამიკაზე: მკვეთრად გაიზარდა შიდსით ავადმყოფების გადარჩენის მაჩვენებელი, სიცოცხლის ხანგრძლივობა და ცხოვრების ხარისხი.




**არვ** მკურნალობამ სამჯერ და მეტჯერ შეამცირა შიდსთან დაკავშირებული სიკვდილობა. დღეისათვის **არვ** მკურნალობას იტარებს 1872 პაციენტი, მათგან 41 — ბავშვია.

რეგისტრირებულ შემთხვევათა განაწილება გადაცემის გზების მიხედვით ასეთია: 50.9 % (2151) — ნარკოტიკების ინექციური მომხმარებელია; 40.4 % (1704) — დაინფიცირდა ჰეტეროსექსუალური კონტაქტის შედეგად; 5.3% (223) — ჰომო-ბისექსუალური კონტაქტით; 2.0 % (83) — დაინფიცირდა ვერტიკალური გადაცემის გზით; 0.5 % (22) — სისხლის რეციპიენტია 0.9 % (40) — გადაცემის გზა დაუდგენელია.

შიდსის ახლად გამოვლენილ შემთხვევებში ინფექციის გადაცემის გზების განაწილების ყოველწლიური დინამიკა მიუთითებს ნარკოტიკების ინექციური მომხმარებლების ხვედრითი წილის შემცირებას სქესობრივი გზით ინფიცირების შემთხვევების მატების ხარჯზე.

აივ-ინფიცირების ყველაზე მეტი შემთხვევა რეგისტრირებულია თბილისში (1475 შემთხვევა, მათგან 81 უცხოეთის მოქალაქეა), შემდეგ სამეგრელოში — 593 (აქედან ზუგდიდი — 432), აჭარაში — 493 (ბათუმი — 328), იმერეთში — 562 (ქუთაისი — 292), აფხაზეთში (318), ქვემო ქართლში (200), კახეთში (186) შიდა ქართლში (133), გურიაში (87), ფოთში (66), სამცხე-ჯავახეთში (46) და ა. შ.

ბოლო წლებში აივ ინფექცია/შიდსის ახალ შემთხვევათა ანალიზი გვიჩვენებს, რომ აღინიშნება ახალ შემთხვევათა სტაბილური ზრდის ტენდენცია.

ექიმი-ინფექციონისტების ინფორმაციით, აივ-დაინფიცირებულთა რაოდენობა ბევრად მეტია ოფიციალურ სტატისტიკაზე, ვინაიდან დაინფიცირებულ პაციენტს საწყის ეტაპზე ტკივილები ან აივ-შიდსისთვის დამახასიათებელი სიმპტომები არ აღენიშნება და ანალიზების ჩასატარებლად დროულად არ აკითხავს შიდსის ცენტრს.

ექიმები მოსახლეობას აივ-დაინფიცირების თავიდან ასაცილებლად შემთხვევითი სქესობრივი კონტაქტის დროს კონტრაცეფციების (პრეზერვატივი) აუცილებელ გამოყენებისკენ მოუწოდებენ.

**ინტერპრესი**

◎ ჰომო საპიენსი

# ინტელექტის დაღმასვლა

**სტენფორდის უნივერსიტეტის მეცნიერებმა სენსაციური აღმოჩენა გააკეთეს: იმის გამო, რომ თანამედროვე სამყაროში სიცოცხლის გადასარჩენად უწინდელივით გააფთრებული ბრძოლა საჭირო აღარ არის, ადამიანის ინტელექტის დონე თანდათან ქვეითდება.**

მათი განცხადებით, ჯერ კიდევ დარვინის მიერ აღმოჩენილი ბუნებრივი შერჩევის კანონი აღარ მუშაობს. სამეცნიერო-ტექნიკურმა პროგრესმა ნადავლის დევნასა და სარჩოს ძებნაში ტყეტყე და მთა-მთა ხეტიალის აუცილებლობა მოსპო. ჩვენ შორეულ წინაპრებს კი საკვების მოსაპოვებლად, საცხოვრებლად ვარგისი ადგილის დასამკვიდრებლად, მწირი მეურნეობისა და ოჯახის მტრულად განწყობილ მეზობელ-დამპყრობთაგან თავის დასაცავად, ფიზიკური ძალის გარდა, გამჭრიახი გონებაც სჭირდებოდათ. ეს ორი პროცესი კი — სიცოცხლის შენარჩუნება და ამაზე ფიქრი, როგორც აღმოჩნდა, ერთმანეთზე მჭიდროდ გადაბმული პროცესებია.

— ინტელექტის განვითარებაზე პასუხისმგებელი გენების განვითარება ადამიანს ჯერ კიდევ „აკვნიდან“ — აფრიკის კონტინენტიდან ამოსვლამდე და მთელ დედამიწაზე განსახლებამდე დაეწყო, — აცხადებს გამოკვლევის ხელმძღვანელი ჯერალდ ქრებთრი. — იმ დროს სიცოცხლის გადასარჩენად მძიმე ბრძოლის გადატანა იყო საჭირო, რის შედეგად გენურმა მუტაციებმა აზროვნების განვითარება პიკზე მოაქცია.

შემდგომ კი, დოქტორ ქრებთრის თქმით, სოფლის მეურნეობის განვითარებისა და ურბანიზაციის კვალდაკვალ ცხოვრება გაცილებით გაიოლდა და ადამიანის ინტელექტუალურმა ძალამაც კლება დაიწყო. იმ ხანიდან მოყოლებული კაცობრიობა გა-



ცილებით ნაკლებ წინააღმდეგობას უწევს ინტელექტის დამქვეითებელ სხვადასხვა მუტაციას, შემდეგ კი, წინაპრებთან შედარებით, თანამედროვე ადამიანი გაცილებით უფრო „სულელია“.

— ინტელექტუალურ პიკს ჩვენ რამდენიმე ათასწლეულის წინათ მივაღწიეთ და მას შემდეგ მისი დონე გამუდმებით კლებულობს, — დარწმუნებულია სწავლული.

ნეირობიოლოგები აცხადებენ, რომ ინტელექტის განვითარებაში 2-დან 5 ათასამდე გენი მონაწილეობს. ასევე ცნობილია, რომ თავის ტვინის ფუნქციონირებაში ჩართული გენები მუტაციების მიმართ მეტად მგრძნობიარენი არიან. მათ ის სიხშირეები გამოითვალეს, რომელთა ზემოქმედებით ადამიანის გენომში მავნე მუტაციები იჩენენ თავს. აღმოჩნდა, რომ სამი ათასი წლისა და ასოცი თაობის მანძილზე კაცობრიობამ ორი, ან უფრო მეტი მუტაცია განიცადა, რომლებმაც, სამწუხაროდ, ჩვენი ინტელექტუალური დონის დაქვეითება გამოიწვია.

— დროის მანქანა რომ გვქონდეს და უცბად ჩვენს წელთაღრიცხვამდე ათას წელს ათენში რომ აღმოვჩნდეთ, იქაური მოქალაქეები ჩვენ თანამედროვეებზე გაცილებით უფრო გონიერები აღმოჩნდებოდნენ, — ესაა დოქტორ ქრებთრის დასკვნა.

**ნინო ალექსანდრია**

## სულიერება

# დიდმარხვის დასაწყისი — ყველიერის, მიტევების კვირიაკე



**2 მარტს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია იხსენიებს განსაკუთრებულ დღეს, რომელიც წელიწადში ერთხელ აღინიშნება — ეს მიტევების კვირაა!**

....დადგა ეს დღეც!.. მიტევების კვირიაკეს ყველა ადამიანი, გაახელს თუ არა თვალს, უფალს შესთხოვს შენდობას, ღრმად იხედება თავის სულში და რაც უფრო ცხადად ხედავს თავის ცოდვებს, მით მეტი სინანულით ევედრება უფალს მიტევებას.

ამგვარად, ადამიანი გამოითხოვს შემოქმედისგან, ღმერთისგან სულიწმინდის მადლს, რომელიც ვითარცა ცეცხლი განწმენდს სულს მანკიერებისაგან.

შენდობის კვირიაკეს — თითოეულმა ჩვენგანმა თავი უნდა დავიმდაბლოთ და ყველა ადამიანს ვთხოვოთ, გვაპატიონ ჩვენი საქციელი, რომლითაც გული ვატკინეთ, უნდა ავამაღლდეთ საკუთარ თავზე (ყოველი ცოდვის სათავეში ხომ ამპარტავნებაა).

ჩვენ უნდა შევუნდოთ ყველა ადამიანს ყველაფერი და ამის შემდეგ თავმდაბლობით და გულწრფელად ვითხოვოთ მისგანაც პატიება.

როგორც ამბობენ, მარხვა სინანულისა, აღდგომა სიხარულისა. დიდი მმარხვა ეს ხომ, ის დროა, როდესაც მთელი კაცობრიობა უფალ იესო ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომის წინაშე დგას და ამ უდიდესი მისტერიის თანაგანმცდელი და შემმეცნებელია.

...გამოცდილმა მორწმუნეებმა იციან, რომ ქრისტიანობაში არ არსებობს წინსვლა და განმტკიცება მწარე მარცხის გარეშე. მარხულობით ადამიანი ისეთ ღვთიურ სათნოებასაც შეიძენს, როგორიცაა მოთმინება.

მარხვის პირველ კვირას ტაძარში იკითხება წმინდა ანდრია კრეტელის დიდი კანონი. მრევლი მთელი კვირის მანძილზე ერთად ასრულებს ამ ლოცვით კანონს.

**გიული ლიპარტია**

## ჩვენი პრესდაიჯესტი

### ქართული პრესიდან



### რით დაეხმარა პროკურატურა კეზერაშვილს განთავისუფლებაში

რატომ აღმოჩნდა საქართველოს პროკურატურა უძლური, დაერწმუნებინა ფრანგი მოსამართლე, რომ კეზერაშვილის სახელს უმძიმესი დანაშაულები უკავშირდება? „ალია" ჯერ კიდევ გასული წლის ნოემბერში წერდა, რომ კეზერაშვილის საქმეში პროკურატურა ჩაფლავდებოდა, არ ეყოფოდა კვალიფიკაცია, თანაც პროკურატურას დღეს ფაქტობრივად ისევ ადეიშვილის კადრები მართავენ და, რა თქმა უნდა, ისინი ყველაფერს გააკეთებენ იმისთვის, რომ კეზერაშვილის ბრალი არ დამტკიცებოდა.

**„ალია"**

### ქართული წყალი საერთაშორისო ბაზარზე გავა

ქართველი მეცნიერები დიდი ხნის განმავლობაში მუშაობდნენ პროექტზე, რომლითაც ქართულ წყალს მსოფლიო ბაზარზე გაიტანენ, საქართველო კი წყლის მიმწოდებელ დონორ ქვეყნად ჩამოყალიბდება. რაც სოციალურ-ეკონომიკურ ეფექტს მოუტანს ქართულ სასმელ წყალს.

აი, რას ამბობს „ქართული წყლის" პროექტის ავტორი პაატა გიორგაძე: „მოკლედ თუ ვიტყვით, საქართველოში სასმელი წყლის ჩამოსასხმელი 150 მინისაწარმო აშენდება, წლიური შემოსავალი 12 მილიარდი დოლარი იქნება, სახელმწიფო ბიუჯეტი კი — მილიარდი დოლარით გაიზრდება.

**„ვერსია"**

### ლარის კურსის უთავბოლო მერყეობის გამო ინვესტორები დაფრთხებიან

ლარი ისევ გაუფასურების გზას დაადგა — 1 დოლარი უკვე, 1,75 ლარია, მოკლე პერიოდში დოლარის კურსი ერთბაშად 1,79 ლარამდე დაეცა, ხოლო შემდეგ უცებ 1,72 ლარამდე გამყარდა და ახლა ისევ სწრაფი ტემპით უფასურდება. ეკონომისტები მიიჩნევენ, რომ ასეთი პროცესი დათვურ სამსახურს უწევს ქართულ ეკონომიკას. ამგვარ არასტაბილურ სიტუაციაში ინვესტორი კაპიტალდაბანდებას მოერიდება. არადა, ამ ცოტა ხნის წინათ ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა გიორგი ქადაგიძემ განაცხადა, რომ ყველა ფაქტორი, რომელიც ლარის გაუფასურებაზე გავლენას ახდენდა, ამოიწურა.

**„რეზონანსი"**

**გაზეთის შემდეგი ნომერი გამოვა ოთხშაბათს 5 მარტს**

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში"
299-62-77; 599 32-85-76.

## ჩვენი კარაბადინი

### ყურადღება თითებს

**ადამიანის ხელისგულებს შეუძლიათ გვიამბონ ფარულად განვითარებული კიბოს შესახებ, ასეთი დასკვნა გააკეთეს ბრიტანელმა მეცნიერებმა. იმ ადამიანების ხელისგულები, რომლებიც კიბოთი დაავადდნენ, ხდება უფრო უხეში, ხელზე ჩნდება სიმკვრივეები და შესიებები.შეიძლება ეს იყოს ფარულად განვითარებული დაავადების ყველაზე პირველი ნიშნები, ამიტომ ასეთი სახის ნებისმიერ ნიშანს ყურადღებით უნდა მოვეპყროთ.**



მიაჩნიათ, რომ ის მამაკაცები, ვისაც არათითი მარჯვენა ხელზე მნიშვნელოვნად უფრო გრძელი აქვთ საჩვენებელ თითზე, ეწევიან 3-ჯერ მეტ რისკს დაავადდნენ პროსტატით, ვიდრე ადამიანები თითების სიგრძის სხვა შეფარდებით. ხელის მტევნის კონფიგურაციის ასეთი თავისებურება ჩნდება მუცლისშიდა განვითარების პერიოდში ტესტოსტერონზე რეაქციის შედეგად.

კორეელმა სპეციალისტებმა გამოიკვლიეს 40-ზე მეტი ასაკის 366 მამაკაცი, რომლებმაც მიმართეს საავადმყოფოს ჩივილით შარდდენის პრობლემებთან დაკავშირებით. სისხლის ანალიზებმა აჩვენეს,რომ იმ მამაკაცებს, ვისი არათითიც გაცილებით გრძელი იყო საჩვენებელზე, პროსტატული სპეციფიური ანტიგენის დონე თითქმის ორჯერ მაღალი ჰქონდათ ნორმაზე.

### გიყვარდეთ და იქნებით ბედნიერი!

**მათ, ვისაც უყვარს, ჭრილობები უფრო სწრაფად უხორცდებათ, ამტკიცებენ ამერიკელი მკვლევარები ოჰაიოს შტატის უნივერსიტეტიდან.**

მეცნიერებმა მოხალისე ცოლქმრულ წყვილებს ხელებზე პატარა ნაფხაჭნები გაუკეთეს. შემდეგ ვიდეოკამერები 12 დღის განმავლობაში აფიქსირებდნენ ცოლ-ქმრების ყველა საუბარს. ამ ვადის გასვლის შემდეგ აღმოჩნდა, რომ იმ წყვილებში, რომლებიც ერთმანეთში არ ჩხუბობდნენ, ჭრილობები შუშდებოდა უფრო სწრაფად.

მეცნიერები ამას ოქსიტოცინის — ბედნიერების ჰორმონის — მოქმედებით ხსნიან, რომელიც იმუნური სისტემის მუშაობას აძლევს სტიმულს. სირთულეები ოჯახში, პირიქით,ზრდიან კორტიზონის (სტრესის ჰორმონის) დონეს, რაც ორგანიზმს ასუსტებს. ამრიგად, ბედნიერი საოჯახო ცხოვრება ადამიანებს სიჯანსაღეს ჰმატებს.

### გავხდეთ შოკოლადით



**შოკოლადი ეხმარება მოზარდებს დარჩნენ ტანადები, აჩვენა გრანადის უნივერსიტეტის ესპანელი მეცნიერების გამოკვლევამ. მათ ანალიზი გაუკეთეს 12-17 წლის 1457 ქალიშვილისა და ჭაბუკის მონაცემებს ევროპის ცხრა ქვეყნიდან, რომლებმაც შეავსეს ვირტუალური ანკეტები, სადაც მათგან მოითხოვდნენ, გადაეანგარიშებინათ, თუ რას ჭამდნენ ისინი უკანასკნელი 24 საათის განმავლობაში. მეცნიერების განკარგულებაში ასევე იყო ინფორმაცია გამოსაკვლევთა სხეულის მასის, წელის სიგანის, ორგანიზმის ცხიმის პროცენტისა და ფიზიკური აქტივობის შესახებ.**

შედეგებმა უჩვენეს წმინდა კავშირურთიერთობა შოკოლადის მაღალ მოხმარებასა და მოზარდების ორგანიზმში ცხიმის საერთო დაბალ დონეს შორის და ცხიმისა წელის სიგანეში სხვა ფაქტორებისგან დამოუკიდებლად (ფიზიკური დატვირთვის ჩათვლით). შოკოლადი ეხმარება ახალგაზრდებს, დარჩნენ წელში გამართულები ფლავონოიდების წყალობით, რომლებსაც კაკაო შეიცავს.

## ცინცხალი ანეკდოტები

**— როდესაც სახლს ხანძარი გაუჩნდა, ცეცხლში შევვარდი და სიდედრი ხელში ატაცებული გამოვიყვანე.**

**— კარგი, ნუ ინერვიულებ! სიმთვრალე რას არ გაგაკეთებინებს კაცს!**

* * *

**— დღეს მოხუცებულთა სახლიდან მოვიდნენ, — ეუბნება ქმარი სამსახურიდან დაბრუნებულ ცოლს.**

**— და შენ მათ, ცხადია, რაღაც მიეცი, არა?**

**— რა თქმა უნდა, დედაშენი.**

* * *

**სიდედრს სულელი ვუწოდე, ცოლი ერთი კვირით დამემდურა. კიდევ ერთხელ დავუძახე სულელი, ცოლი ისევ ერთი კვირით გამებუტა. აი, ესეც გამორთვის ჯადოსნური ღილაკი!**



**— ევროპაში ვიმოგზაურე, — ეუბნება ერთი უროლოგი მეორეს, — ვნახე „მშარდავი ბიჭუნას" სკულპტურა. ჩემზე ვერ მოახდინა შთაბეჭდილება. სახე რაღაცნაირად დამახინჯებული აქვს, ნაკადიც სუსტია.**

**— აბა, რა გინდოდა? რამდენი წელია, ტიტველი უმოძრაოდ დგას ქუჩაში. ჩემი აზრით, ყველაფერი ნათელია — ქრონიკული პროსტატი.**

* * *

**თვალცრემლიანი გოგონა ღრიალით მივარდა საბავშვო ბაღის აღმზრდელთან.**

**— რა მოხდა, საყვარელო, ვინ გაგაბრაზა?**

**— მიხომ.**

**— რისთვის?**

**— ყველა სიდედრი ბავშვობაშია მოსაკლავიო, მითხრა.**

## კადრი



ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა-1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი"
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე"
იბეჭდება „კოლორში"
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
ზურაბ ბოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძობულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24